მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების მონაწილეობითი პროცესი

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება მოხდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელ თემთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა აქტიურ დიალოგში და გადაწყვეტილებების მიღებაში მათი ჩართვის გზით" ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია ,,ოქსფამი" (Oxfam GB), ,,საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია", ,,ველფეარ ფაუნდეიშენი" (Welfare Foundation) და ,,ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია - დეა". ასევე პროექტში აქტიურად იყო ჩართული ამავე პროექტის ფარგლებში შექმნილი განვითარების კომიტეტი და მცხეთის მუნიციპალიტეტი.

2010 წლის მაისში მცხეთის მუნიციპალიტეტში ,,საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ინიციატივით შეიქმნა ,,განვითარების კომიტეტი", რომელშიც გაწევრიანდნენ ადგილობრივი და დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლები, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების (საკრებულოს და გამგეობის) წევრები. ,,განვითარების კომიტეტის" მიზანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის პროფილის განახლება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტების და მათი ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება, პრიორიტეტების გამოვლენა და ადგილობრივი განვითარებისათვის წინადადებების მომზადება.

აღნიშნულ ჯგუფს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგები, რომელსაც ფასილიტაციას უწევდა ,,საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია".

მცხეთის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის დოკუმენტის მომზადებას კოორდინირებას უწევდნენ:

შოთა მურღულია - პროექტის ,,ერთად ჩვენ შევძლებთ" ექსპერტი

ოთარ კონჯარია - ,,საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ექსპერტი

გეგმაზე მუშაობდნენ, განვითარების კომიტეტის წევრები:

ინნა ახალბედაშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი;

შალვა ქემოკლიძე - ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ქონების მართვისა და სტატისტიკის აღრიცხვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

გივი ქობულაშვილი - არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

ლელა გიორგაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაია კოზმანაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;

ხათუნა ალავერდაშვილი - ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

მარი გვრიტიშვილი - მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის სპეციალისტი;

მარინე ფერაძე - მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ელენე მეტრეველი - წეროვანის დევნილთა ჩასახლების სამობილიზაციო ჯგუფის წევრი;
მარინე კახნიაშვილი - წინამძღვრიანთკარის დევნილთა ჩასახლების სამობილიზაციო ჯგუფის წევრი;
ირაკლი ბაბუციძე - საგურამოს დევნილთა ჩასახლების სამობილიზაციო ჯგუფის წევრი;
მათიკო ელბაქიძე - საგურამოს დევნილთა ჩასახლების სამობილიზაციო ჯგუფის წევრი;
ზეზვა შამშალაიძე - ფრეზეთის დევნილთა ჩასახლების სამობილიზაციო ჯგუფის წევრი.

გეგმის შედგენის პროცესი მოიცავდა შემდეგი ტიპის სამუშაოების შესრულებას:

- ინფორმაციის მოძიება-ანალიზი;
- მუნიციპალიტეტის ზოგადი პროფილის განსაზღვრა;
- მოსახლეობის გამოკითხვა ანკეტირების საშუალებით;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- მუნიციპალიტეტის ხედვის ჩამოყალიბება;
- განვითარებისათვის პრიორიტეტების განსაზღვრა;
- პრიორიტეტების შესაბამისი სტრატეგიული მიზნების და ამოცანების განსაზღვრა;
- გეგმის დოკუმენტის მომზადება.

შინაარსი

1. თვითმმართველობის სამართლებრივი საფუძვლები

1.1. ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები

1.2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენისა და განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები (ასპექტები)

2. მუნიციპალიტეტის პასპორტი

2.1ძირითადი აქტორები

2.1.1. ადგილობრივი თვითმმართველობა

2.1.1.1. წარმომადგენლობითი ორგანო

2.1.1.2. აღმასრულებელი ორგანო

2.1.2. ცენტრალური ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოები

2.1.3. ბიზნესსექტორი

2.1.4. არასამთავრობო ორგანიზაციები

2.2. გეოგრაფიული მდებარეობა

2.3. ბუნებრივი რესურსები

2.4. ადამიანური რესურსები და სოციალური კაპიტალი

2.5. ინფრასტრუქტურა

2.5.1. სოციალური ინფრასტრუქტურა

2.5.2. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

2.6. დარგობრივი ეკონომიკა

2.6.1. მრეწველობა

2.6.2. სოფლის მეურნეობა

2.6.3. ტურიზმი

2.6.4. ენერგეტიკა

2.7. სოციალური მდგომარეობა

2.7.1. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა

2.7.2. იძულებით გადაადგილებული პირები

2.7.3. პენსიონრები კატეგორიების მიხედვით

2.7.4. სხვა სოციალური ფენები

2.8. საჯარო ფინანსები (ადგილობრივი ბიუჯეტი)

2.8.1. ბიუჯეტის შემოსულობების ანალიზი

2.8.2. ბიუჯეტის გადასახდელები

2.9. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონება
2.9.1. სახელმწიფო ქონება
2.9.2. ადგილობრივი ქონება

3. მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები

3.1. გამოკითხვის მეთოდოლოგია
3.2. ძირითადი მიგნებები

4. პროგრამის პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

4.1. პრიორიტეტების შერჩევის კრიტერიუმები

4.2. პრობლემების ანალიზი შერჩეული სფეროების (პრიორიტეტების) მიხედვით

4.2.1. **წყალმომარაგება**
4.2.1.1. ძირითადი პრობლემის აღწერა
4.2.1.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები
4.2.1.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე

4.2.2. **ერთჯერადი სოციალური დახმარებები**
4.2.2.1. ძირითადი პრობლემის აღწერა
4.2.2.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები
4.2.2.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე

4.2.3. **ადგილობრივი მნიშვნელობის გზები**
4.2.3.1. ძირითადი პრობლემის აღწერა
4.2.3.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები
4.2.3.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე

4.2.4. **მუნიციპალური ნარჩენების მართვა**
4.2.4.1. ძირითადი პრობლემის აღწერა
4.2.4.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები
4.2.4.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე

4.3. პროგრამის მიზნები, ამოცანები და საქმიანობები;
4.3.1. სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდება - პრიორიტეტი#1
4.3.2. ერთჯერადი სოციალური დახმარებები - პრიორიტეტი #2
4.3.3. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები - პრიორიტეტი #3
4.3.4. მუნიციპალური ნარჩენების მართვა - პრიორიტეტი #4

4.4. პროგრამის განხორციელების სავარაუდო გეგმა და რესურსები.

მცხეთის მუნიციპალიტეტის რუკა

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

1. სამართლებრივი საფუძვლები

1.1. ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტია, საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და აქედან გამომდინარე სხვა ნორმატიული აქტები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 პრიმა თავით (ძალაშია 2011 წლიდან), დადგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შექმნის, წარმომადგენლობითი ორგანოების პირდაპირი წესით არჩევის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ორგანოებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის, დელეგირებული უფლებამოსილებების მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფის, თვითმმართველი ერთეულის მიერ საკუთარი ქონებისა და ფინანსების ფლობის, თვითმმართველობის ორგანოებზე სახელმწიფო ზედამხედველობის გონივრულ ფარგლებში, ზედამხედველობის მიზნების პროპორციულად განხორციელების სამართლებრივი გარანტიები.

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში 69 თვითმმართველი ერთეულია. აქედან 64 - მუნიციპალიტეტია და 5 - თვითმმართველი ქალაქი. თვითმმართველ ქალაქებს შორის ერთ-ერთია საქართველოს დედაქალაქი - თბილისი. თბილისის განსაკუთრებული სტატუსის, ინსტიტუციური მოწყობისა და უფლებამოსილებების საკითხები რეგულირდება ,,საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივ თვითმმართველობას განმარტავს, როგორც მოქალაქეთა უფლებას და შესაძლებლობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

საქართველოში თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

- მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში;
- თვითმმართველობის ორგანოთა დამოუკიდებლობა კანონით მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში;
- საქართველოს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობა;
- ანგარიშვალდებულება მოქალაქეთა წინაშე;
- სახელმწიფოსა და თვითმმართველი ერთეულის ურთიერთთანამშრომლობა და დახმარება;

- სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნა;
- სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შორის დავის სასამართლოს წესით გადაწყვეტა;
- თვითმმართველი ერთეულის საფინანსო-ეკონომიკური დამოუკიდებლობა

თვითმმართველი ერთეული არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, გააჩნია საკუთარი საჯარო კომპეტენციები, ქონება და ბიუჯეტი.

თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ინსტიტუციაა წარმომადგელობითი ორგანო - საკრებულო, რომელსაც ირჩევს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები (დადგენილი წესით რეგისტრირებული) საქართველოს მოქალაქეები ოთხი წლის ვადით, პირდაპირი წესით, შერეული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. შესაბამისად, საკრებულო შედგება მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ საკრებულოს პრეროგატივაა და მათი დელეგირება თვითმმართველობის სხვა ორგანოებზე დაუშვებელია. აღნიშნული უფლებამოსილებებიდან შეიძლება გამოიყოს, ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება; საკრებულოს თავმჯდომარის, რომელიც თვითმმართველი ერთეულის უმაღლესი თანამდებობის პირია, არჩევა; ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და სხვა. თუმცა, განსაკუთრებული უფლებამოსილებებიდან, შეიძლება ითქვას, უმთავრესია საკრებულოს უფლებამოსილება დაამტკიცოს როგორც საკუთარი, ისე აღმასრულებელი ორგანოს, მისი სამსახურებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებები, ანუ მოახდინოს თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებების გადანაწილება თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს შორის.

საკრებულოში განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადების, მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ხელშეწყობისა და აღმასრულებელი ორგანოების კონტროლის მიზნით იქმნება საკრებულოს კომისიები. კომისიის დებულებასა და შემადგენლობას ამტკიცებს საკრებულო. კომისის თავმჯდომარე აირჩევა საკრებულოს მიერ, საკრებულოს წევრთაგან.

თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოა **გამგეობა**. იგი შედგება სტრუქტურული ერთეულებისა (სამსახურები) და ტერიტორიული ორგანოებისაგან (რწმუნებულები). გამგეობის დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს საკრებულო. გამგეობისა და მისი სამსახურების უმთავრეს ფუნქციას საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულება წარმოადგენს.

1.2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენისა და განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები (ასპექტები)

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება: თვითმმართველ ერთეულში ინვესტიციების ხელშეწყობა, დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის კეთილმოწყობის, გამწვანებისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება; თვითმმართველი ერთეულის სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების შემუშავება და დამტკიცება.

ეს პროგრამები, მათი შინაარსიდან გამომდინარე სავსებით ლოგიკური და ეფექტიანია შემუშავდეს, დამტკიცდეს და განხორციელდეს არა ცალ-ცალკე, არამედ, ერთიანი **სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის** სახით, რადგანაც ყველა ეს პროგრამა თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ისახავს მიზნად. ერთიანი **სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის** შემუშავების, დამტკიცებისა და განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც გარდა საკუთარ კომპეტენციებში შემავალი საკითხებისა, თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ საკითხებზე, რომელიც კანონის თანახმად არ განეკუთვნება ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებას და არ არის აკრძალული თვითმმართველი ერთეულისთვის.

2. მუნიციპალიტეტის პასპორტი

2.1 ძირითადი აქტორები

2.1.1. ადგილობრივი თვითმმართველობა

მცხეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა) ორგანოების მიერ შემდეგი ტერიტორიული ერთეულების მიხედვით:

1. ქ. მცხეთა;
2. ნავდარაანთკარი;
3. ბიწმენდი;
4. გალავანი;
5. ზაქარო;
6. ლისი;
7. მსხალდიდი;
8. მისაქციელი;
9. აღდგომელაანთკარი;
10. ნავაზი;
11. ნატახტარი;
12. მუხრანი;
13. ძველი ქანდა;
14. ნიჩბისი;
15. საგურამო;
16. ქსანი;
17. ციხისძირი;
18. ქსოვრისი;
19. ცხვარიჭამია;
20. ძეგვი;
21. ჩარდახი;
22. წეროვანი;
23. წილკანი;
24. ძალისი;
25. ვაზიანი.

2.1.1.1. წარმომადგენლობითი ორგანო

ადგილობრივი თვითმმართველობის 2010 წლის არჩევნების შედეგად მცხეთის მუნიციპალიტეტში არჩეული იქნა წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო 23 წევრის შემადგენლობით. საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ანდრო კალანდაძე, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ – ივანე მარტოლეკი.

ცხრილი №1 მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

№	სახელი და გვარი	თანამდებობა
1	ანდრო კალანდაძე	საკრებულოს თავმჯდომარე
2	ივანე მარტოლეკი	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
3	ვახტანგ ყიფშიძე	საკრებულოს წევრი
4	გიორგი ატაშვილი	საკრებულოს წევრი
5	თამაზ ღვინიაშვილი	საკრებულოს წევრი
6	გოჩა ქავთარაძე	საკრებულოს წევრი
7	გიორგი მიქელაძე	საკრებულოს წევრი
8	ირაკლი ჩხაიძე	საკრებულოს წევრი
9	გურამ კუპრაშვილი	საკრებულოს წევრი
10	რევაზ მამულაშვილი	საკრებულოს წევრი
11	ზაზა ქირია	საკრებულოს წევრი
12	ზაზა მაისურაძე	საკრებულოს წევრი
13	ზურაბ ელყანიშვილი	საკრებულოს წევრი
14	თამაზ ჯავახიშვილი	საკრებულოს წევრი
15	ნიკოლოზ ნასიბაშვილი	საკრებულოს წევრი
16	გიორგი გულიაშვილი	საკრებულოს წევრი
17	ნოდარ ქაშიაშვილი	საკრებულოს წევრი
18	ილია იორდანიშვილი	საკრებულოს წევრი
19	ავთანდილ მელაძე	საკრებულოს წევრი
20	გივი ბაქრაძე	საკრებულოს წევრი
21	ინგური წიკლაური	საკრებულოს წევრი
22	გიორგი ჭინჭარაული	საკრებულოს წევრი
23	თემურ ლელუაშვილი	საკრებულოს წევრი

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პასპორტი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 5 კომისიისგან:

- *საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.* თავმჯდომარე - თამაზ ღვინიაშვილი;
- *აგრარულ საკითხთა, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის კომისია.* თავმჯდომარე - გივი ბაქრაძე;
- *სოციალურ საკითხთა კომისია.* თავმჯდომარე - გურამ კუპრაშვილი;
- *ინფრასტრუქტურის კომისია.* თავმჯდომარე - ნოდარ ქაშიაშვილი;
- *იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისია.* თავმჯდომარე - გიორგი ატაშვილი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილია ორი ფრაქცია: - ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". თავმჯდომარე - ვახტანგ ყიფშიძე. ფრაქცია ,,მაჟორიტარი დეპუტატები", თავმჯდომარე - ილია იორდანიშვილი.

2.1.1.2. აღმასრულებელი ორგანო

საკრებულოს გადაწყვეტილებების აღსრულებას მცხეთის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა. ადგილობრივი თვითმმართველობის 2010 წლის არჩევნების შემდეგ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლად შერჩეული და დამტკიცებული იქნა თემურ აბაშიძე, გამგებლის მოადგილეებად კი – თამაზ ცოფურაშვილი, ზაზა ალიბეგაშვილი და ნიკოლოზ კიკნაველიძე.

ცხრილი №2 მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი და გამგებლის მოადგილეები

#	თანამდებობა	სახელი და გვარი
1.	გამგებელი	თემურ აბაშიძე
2.	გამგებლის მოადგილე	თამაზ ცოფურაშვილი
3.	გამგებლის მოადგილე	ზაზა ალიბეგაშვილი
4.	გამგებლის მოადგილე	ნიკოლოზ კიკნაველიძე

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურაში შედის შემდეგი სამსახურები:

- გამგეობის აპარატი;
- ადმინისტრაციული სამსახური;
- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
- ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური;
- არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახური;
- შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების სამსახური;
- კულტურის, განათლების და ძეგლთა დაცვის სამსახური;
- სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
- სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური;
- სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური;

ამასთან, მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით გამგეობის მიერ შექმნილია შემდეგი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები:

- ააიპ ,,მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) გაერთიანება;
- ააიპ ,,მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის დაწესებულებების გაერთიანება";
- შპს ,,მცხეთის წმინდა ათორმეტ მოციქულთა სახელობის მართლმადიდებლური სკოლა".

2.1.2. ცენტრალური ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოები

მცხეთის მუნიციპალიტეტში განთავსებულია საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, მისი ფუნქციებია:

- უზრუნველყოს რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კოორდინაცია
- რესურსების მობილიზება
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელების ორგანიზება
- ინვესტიციების მოზიდვა
- რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა
- ზედამხედველობის ფუნქციების განხორციელება
- ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე მოქმედებს ცენტრალური ხელისუფლების შემდეგი ტერიტორიული ორგანოები:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთის სამმართველო;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური;
- სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მცხეთის სამსახური;
- სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მცხეთის რაიონული სამმართველო;
- სოციალური მომსახურების სააგენტოს მცხეთის მომსახურების ცენტრი;
- გარემოს დაცვის ინსპექციის მცხეთის სამსახური;
- განათლების სამინისტროს მცხეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი;
- საგადასახადო ინსპექციის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს მცხეთის ფილიალი;
- მცხეთის რაიონული სასამართლო;
- სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების მცხეთის სამმართველო;
- მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისია.

2.1.3. ბიზნესსექტორი

მცხეთის მუნიციპალიტეტში მოქმედებს რამოდენიმე მსხვილი საწარმო :

- შპს ,,კამპა'' აწარმოებს წვენებს .
- სააქციო საზოგადოება ,,მინა'' აწარმოებს მინის ტარას – მის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა შეადგენს 6818,0 ათ.ლარს და მომავალში აპირებს ინვესტიციების მოზიდვას, რათა გაზარდოს წარმოება და ექსპორტი.
- შპს ,,ბარამბო'' აწარმოებს შოკოლადს და სხვა ტკბილ ნუგბარს.
- აგროკონსორციუმი ,,წეროვანი '' რძისა და სოიოს გადამუშავებით აწარმოებს სხვადასხვა სახის საკვებ პროდუქტებს.
- შპს ,,ნეოპრინტი'' აწარმოებს ქაღალდს, რომელიც გადის ექსპორტზე. მომავალში საწარმო აპირებს მისი ეკონომიკური მაჩვენებლის გაზრდას 10 %-ით.
- მუნიციპალიტეტში მოქმედებს და წარმატებულად მუშაობს რამოდენიმე მეფრინველეობის ფაბრიკა, მათ შორის ი.მ. ,,ელგუჯა ნოზაძე'', რომლის მიერ

წარმოებული პროდუქციის მოცულობამ შეადგინა 4.700 ათ.ლარი, წელიწადში აწარმოებს 540 ტ ბროილერის ხორცს.

- სოფ. ნატახტარში ახლად ამოქმედებულია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასაკლაო.
- სოფ. ნატახტარში მოქმედებს ლუდსახარში ,,ნატახტარი''.
- ახალ წეროვანში (ლტოლვილთა დასახლება) ამოქმედდა საწარმო, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა სახის პარფიუმერულ ნაწარმს .

ცხრილ №3-ში მოცემულია 2007-2010 წლებში მცხეთის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულ სუბიექტთა ნუსხა:

ცხრილი №3 2007-2010 წელს დარეგისტრირებულ სუბიექტთა ნუსხა

№	დასახელება	წელი	რაოდენობა
1	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი	2007	7
2	ინდივიდუალური მეწარმე	2007	212
3	სააქციო საზოგადოება	2007	1
4	ფიზიკური პირი	2007	1
5	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	2007	63
6	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი	2008	8
7	ინდივიდუალური მეწარმე	2008	213
8	უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	2008	1
9	ფიზიკური პირი	2008	2
10	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	2008	51
11	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი	2009	10
12	ინდივიდუალური მეწარმე	2009	289
13	ფიზიკური პირი	2009	3
14	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	2009	44
15	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი	2010	4
16	ინდივიდუალური მეწარმე	2010	272
17	ფიზიკური პირი	2010	3
18	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	2010	38

წყარო: საჯარო რეესტრის სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მონაცემები.

სამართლებრივი ფორმის მიხედვით სულ 4 წელიწადში დარეგისტრირდა:

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – 29;
- ინდივიდუალური მეწარმე – 986;
- სააქციო საზოგადოება -1;
- ფიზიკური პირი – 9;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – 196;
- უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი – 1;

სულ 1222 სუბიექტი

დიაგრამა №1: 2007-2010 წლებში მცხეთის მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებული სუბიექტები სამართლებრივი ფორმების მიხედვით



2.1.4. არასამთავრობო ორგანიზაციები

გთავაზობთ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამონათვალს, რომლებიც თანამშრომლობენ მცხეთის მუნიციპალიტეტთან:

- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
- ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია;
- ეფექტიანი მმართველობის სისტემების და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრი;
- საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი.

2.2. გეოგრაფიული მდებარეობა

მცხეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში და ისტორიულ-გეოგრაფიული დაყოფით მცხეთა-მთიანეთის ფარგლებშია მოქცეული. ზღვის დონიდან იგი მდებარეობს 480 მ.-ზე. მისი ტერიტორიის ფართობი შეადგენს 63652 ჰექტარს, რომელიც მოიცავს ძირითადად ვაკე-ბორცვიან ბარს, დაბალმთიან და საშუალომთიან მაღლობებს. მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი და 63 სოფელი, რომლებიც გაერთიანებულია თვითმმართველობის 25 ტერიტორიულ ერთეულში. ქალაქი მცხეთა თბილისიდან დაშორებულია 8 კმ.-ით.

2.3. ბუნებრივი რესურსები

მცხეთაში ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა (საშუალო წლიური ტემპერატურა 10,8 °C; იანვარი — 1,1 °C, ივლისი — 22,1 °C). იცის ცივი ზამთარი (აბსოლუტური მინიმალური — 29 °C) და ცხელი ზაფხული (აბსოლუტური მაქსიმალური 39 °C). ნალექები 590 მმ წელიწადში.

წყლის რესურსი

მუნიციპალიტეტში ჩამოედინება 5 მდინარე საერთო სიგრძით 662 კმ. ძირითადი მდინარეებია: მტკვარი (საქართველოს ტერიტორიაზე გაჭიმულია 390 კმ.-ზე), არაგვი (112 კმ.), ქსანი (84 კმ.), თეზამი (28 კმ.), ნარეკვავი (47 კმ.).

მიწა

მუნიციპალიტეტის მიწის მთლიანი ფონდი 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 636,52 კვ.კმ.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის მიწის საერთო ფონდის ნაწილი კვლავ სახელმწიფოს საკუთრებაშია, აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 52,7% გადაცემულია კერძო საკუთრებაში, მათ შორის სახნავი ფართობების 63,9%, მრავალწლიანი ნარგავების 93,8%, ხეხილის ბაღების 98,3%, ვენახის 89,1%, ასევე მცირე რაოდენობით სათიბი (19,4%) და საძოვარი (15,3%). მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობის 52,7% უკავია ტყეებს.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სულ: 23636 ჰა
მათ შორის:
სახნავი - 12195 ჰა;
მრავალწლიანი ნარგავები – 3905 ჰა;
სათიბი – 271 ჰა;
საძოვრები – 7265 ჰა;
ტყის ფონდი 27166 ჰა;
დაცული ტერიტორია (ნაკრძალი) 22425 ჰა.

რაც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულს, მოიპოვება კირქვა, ქვიშა-ხრეში, ცეოლითი, სააგურე თიხა. №4 ცხრილში მოცემულია სასარგებლო წიაღისეული სახეებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით

ცხრილი №4 სასარგებლო წიაღისეული სახეებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით

წიაღისეულის სახეობა	განზომილების ერთეული	მარაგები	წიაღისეულის სახეობა
მცხეთის მუნიციპალიტეტი			
ძეგვის – რ/ც მცხეთიდან დასავლეთით 13 კმ.-ზე, სოფ. ძეგვის მიდამოებში			
ცეოლითი	ათ. ტ	1675 840	ექსპლუატაცია შეჩერებულია
სასხორი I – რ/ც მცხეთიდან სამხრეთ-დასავლეთით 10 კმ.-ზე, კასპის ცემ.კომბინატიდან 13კმ.-ზე			
კირქვა ცემენტის მისაღებად	ათ. ტ	143693	არმუშავდება
სასხორი II-რკ.გზ. სადგურ ძეგვიდან დასავლეთით 5 კმ.-ზე			
კირქვა კირისათვის	ათ. ტ	6547	კირქვა კირისათვის
ძეგვის – რ/ც მცხეთიდან დასავლეთით 15 კმ.-ზე, სოფ. ძეგვის მიდამოებში			
ქვიშა-ხრეში	ათ.მ3	4500	მუშავდება
ნიჩბისის – რ/ც მცხეთიდან 5 კმ-ზე, სოფ. ახალი ნიჩბისიდან 2-3 კმ.-ზე			
ქვიშა	ათ.მ3	2650	მუშავდება
წიწმურის-მდ.არაგვის მდ.მტკვართან შეერთების მახლობლად, წიწამურის მიდამოებში			
ქვიშა	ათ.მ3	60	მუშავდება
საგურამოს-მდ.არაგვის კალაპოტში, სოფ. საგურამოს მიდამოებში			
ქვიშა	ათ.მ3	70	მუშავდება
ციხისძირის – რკ.გზ. სადგურ ქსნიდან ჩრდილოეთით 1,5 კმ.-ზე			
ქვიშა-ხრეში	ათ.მ3	6600	არ მუშავდება
სამადლოს (სასხორის) – სოფ. სასხორის ტერიტორიაზე მდ.მტკვრის მარჯვენა ნაპირზე			
სააგურე თიხა	ათ.მ3	242	არ მუშავდება
მცხეთის წყალამღები: უბნები: შუა ფრონე, აღ. ფრონე, დიდი ლიახვი, მეჯუდა, ქსანი, არაგვის ქ. თბილისის ჩრდ. დასავლეთით			
სასმელი წყალი, მცხეთის კასპის, გორის და ქარელის სოფლების წყალმომარაგებისათვის	ათ.მ3 დღეღამეში	586,6	ექსპლუატაცია
ქსნის წყალამღები-მდ. ქსნის მარცხენა ნაპირი სოფლებს მუხრანსა და ციხისძირს შორის			
სასმელი წყალი, მცხეთის, კასპის, გორის და ქარელის სოფლების წყალმომარაგებისათვის	ათ.მ3	170,1	ექსპლუატაცია
თეზამის გამოდინება-მდ. თეზამის ხეობაში მდ.ბერების ხევიდან მდ. არაგვის შესართავამდე 15 კმ.-ს მანძილზე			
ოქროს შემცველი ქვიშები	ათ.მ3	არ არის დეტალურად შესწავლილი ქვიშების სიმძლავრე 03-3 მ-ია, ოქროს შემცველობა, 0,1 გრ/ტ	

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პასპორტი.

SWOT ანალიზი

ბუნებრივი რესურსები	
S - ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
• სასმელი (მათ შორის მინერალური) წყლის რესურსების სიუხვე • ბუნებრივ–რესურსული წიაღისეულის მრავალფეროვნება • მდიდარი და საინტერესო ლანდშაფტი	• ინფრასტრუქტურის გაუმართაობა • არაეფექტური მენეჯმენტი
O - შესაძლებლობები	**T - საფრთხეები**
• მცირე და საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პოტენციალი • მზის ენერგიის გამოყენების პოტენციალი • ქარის ენერგიის გამოყენების პოტენციალი	• სანედლეულო–რესურსული წიაღისეულის ამოწურვა • ბაზარზე არსებული რესურსების მიმართ მოთხოვნის შემცირება

2.4. ადამიანური რესურსები და სოციალური კაპიტალი

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 2002-2009 წლებში დაკლებულია უმნიშვნელოდ (0,9%-ით), თუმცა გასათვალისწინებელია, რომ 2008 წლის შემდგომ მუნიციპალიტეტში ჩასახლებული იქნა 10 400 დევნილი. დღეისათვის არსებული მონაცემებით მცხეთის მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობა შეადგენს 56 ათას 900 ადამიანს[1], მათ შორის 46500 ადამიანი ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეა. მოსახლეობის რიცხოვნების ცვლილების დინამიკა მოცემულია დიაგრამა №2-ში:

დიაგრამა №2 მოსახლეობის რიცხოვნების ცვლილების დინამიკა 2002-2010 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მცხეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში (იძულებით გადაადგილებულ პირთა ჩათვლით) მოცემულია ცხრილში №5:

ცხრილი №5 მოსახლეობის რაოდენობა ასაკობრივ ჭრილში

რეგიონი/რაიონი	0_6	6_18	18_30	30_40	40_60	60_65	65_70	70 და მეტი	ასაკი არ აქვთ მითითებული
მცხეთის მუნიციპალიტეტი	4522	12760	11443	9463	14769	3967	3071	4831	3

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

ცხრილ №6-ში მოცემულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით:

[1] ***წყარო:*** სამოქალაქო რეესტრის სააგენტო (2010 წლის 22 ნოემბრის მონაცემები)

ცხრილი #6 მოსახლეობის რაოდენობა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

	ტერიტორიული ერთეულის დასახელება	შემავალი დასახლებების, სოფლების და დაბების დასახელება	სულთა რაოდენობა + იძულებით გადაადგილებულები
№			
1	მცხეთა	მცხეთა, მუხათგვერდი, არმაზი	7700
2	ნავდარაანთკარი	არაშენდა, კოტორაანთკარი, ნავდარაანთკარი, ჭილაანთკარი	572
3	ბიწმენდი	ბიწმენდი, ჟიღაურა	888
4	ზაქარო	ზაქარო, ბურიანი	1218+114
5	გალავანი	გალავანი, წინამძღვრიანთკარი	1130+242
6	ლისი	ლისი, ბევრეთი, ლელოები	370
7	მსხალდიდი	მსხალდიდი, მუხათწყარო, ნაფეტვრები, ნახშირგორა	475
8	მისაქციელი	მისაქციელი	2362
9	აღდგომლიანთკარი	აღდგომლიანთკარი, ფრეზეთი, უპურეთი, ახალდაბა	516+724
10	ნატახტარი	ნატახტარი	1191
11	მუხრანი	მუხრანი, პატარა ქანდა	8820
12	ძველი ქანდა	ძველი ქანდა	1806
13	ნიჩბისი	ქვემო ნიჩბისი, ახალი ნიჩბისი, ზემო ნიჩბისი, სასხორი	1987
14	საგურამო	საგურამო, ახალსოფელი, შანკევანი, წიწამური	1768+252
15	ქსანი	ქსანი	1135
16	ციხისძირი	ციხისძირი	1635
17	ქსოვრისი	ქსოვრისი, ვარდისუბანი	1600
18	ვაზიანი	ვაზიანი	590
19	ცხვარიჭამია	ცხვარიჭამია, თეზამი, კევლიანი, მამკოდა, ლელობანი, მშრალხევი	275
20	ძეგვი	ძეგვი, სათოვლე, ხეკორძი	3037
21	წეროვანი	წეროვანი	1807+6145
22	ჩარდახი	ჩარდახი, გოროვანი, სხალტბა	1397
23	წილკანი	წილკანი	3696+1167
24	ძალისი	ძალისი, ერედა	3200
25	ნავაზი	ნავაზი	742

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა მცხეთის მუნიციპალიტეტში შეადგენს **10400 ადამიანს,** მათი გადანაწილება რაოდენობრივად სოფლების მიხედვით ასეთია:

- წილკანი -1167;
- წეროვანი -6145;
- საგურამო – 252;
- აღდგომლიანთკარი - 724;
- ზაქარო - 114;
- წინამძღვრიანთკარი – 242.

აღსანიშნავია, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში დევნილთა რაოდენობა შეადგენს მთლიანი მოსახლეობის 15,3%-ს;

მუციპალიტეტში **შრომითი რესურსი** შეადგენს 30000 კაცს (46 500 კაციდან). რაც მოსახლეობის 64,5% უდრის, აქედან, დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით შეადგენს 9240 კაცს. დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში გამოიყოფა თვითდასაქმებულები 4240 კაცი.

დასაქმების ძირითადი სფეროებია: სოფლის მეურნეობა, მცირე მეწარმეობა (ტურიზმი, ვაჭრობა);

საშუალო ხელფასი შეადგენს 300-350 ლარს.

საშუალო ხელფასი სახელმწიფო სექტორში აშშ დოლარზე შეადგენს – 160 - 190 დოლარს, კერძო სექტორში 270-300 დოლარს.

ქვემოთ ცხრილებში მოცემულია მცხეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დემოგრაფიული მაჩვენებლები:

ცხრილი №7. შობადობა -გარდაცვალების მაჩვენებელი

	2005	2006	2007	2008	2009
წლები					1 აპრილი
დაბადება	695	459	513	581	154
გარდაცვალება	613	563	463	479	135

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

ცხრილი №8. ქორწინება-განქორწინების მაჩვენებელი

წლები	2005	2006	2007	2008	2009
					1 აპრილის
ქორწინება	134	214	253	284	80
განქორწინება	30	22	19	34	6

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

ცხრილი №9. მოსახლეობის მიგრაციის მაჩვენებელი

წლები	2005		2006		2007		2008		2009	
	შიდა მიგრაცია	გარე მიგრაცია	შიდა მიგრაცია	შიდა მიგრაცია	გარე მიგრაცია	შიდა მიგრაცია	გარე მიგრაცია	გარე მიგრაცია	შიდა მიგრაცია	გარე მიგრაცია
ქალაქი	63	38	76	71	24	9	11	72	39	46
დაბა	67	22	92	-	12	-	5	58	19	42
სოფელი	365	83	438	267	143	32	43	287	111	242
ჯამი	495	143	606	338	179	41	59	417	169	330

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

ცხრილი №10. დასაქმების მაჩვენებელი

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	23509	9977	13532
დასაქმებული მოსახლეობა	21397	8910	12487
მათ შორის:	-		-
დაქირავებით მომუშავენი	9415	4240	5175
სამუშაოს მიმცემნი	18	5	13
საკუთარ საწარმოში დასაქმებულები, მუშაკთა დაქირავების გარეშე	11	3	8
ინდივიდუალურ საფუძველზე მომუშავენი	2363	618	1745
ოჯახური საწარმოს მუშაკები არა რეგულარული ანაზღაურებით	97	45	52
პირები, რომლებიც არაა კლასიფიცირებული დასაქმების სტატუსის მიხედვით	9493	3999	5494
დასაქმებული მოსახლეობის საერთო რიცხვიდან პენსიონერები	1814	934	880
მოსწავლეები	8	4	4
დაუსაქმებელი მოსახლეობა	11692	6349	5343
აქედან:	-		
უმუშევრები, რომლებიც მზად არიან შეუდგნენ მუშაობას	2112	1067	1045
მათ შორის:	-		

პენსიონერები	107	61	46
ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა	41320	23785	17535
აქედან:	-		
პენსიონერები	6713	4279	2434
მოსწავლეები	30	13	17
პირები, რომლებიც იღებენ დახმარებას ან სახელმწიფო უზრუნველყოფის სხვა სახე	1112	341	771
პირები, რომლებიც იღებენ შემოსავლებს მხოლოდ საკუთრებიდან და დანაზოგებიდან	44	14	30
სხვა პირის კმაყოფაზე მყოფნი	31720	18747	12973
არსებობის საშუალებათა ძირითადი წყარო არაა მითითებული	70	18	52

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

ცხრილი №11 ეთნიკური ჯგუფები მცხეთის მუნიციპალიტეტში

	რიცხოვნობა	პროცენტებით მთელ მოსახლეობასთან
	2002 წლის აღწერით	2002 წლის აღწერით
მთელი მოსახლეობა	64829	100
ქართველი	58808	90,7
აფხაზი	20	0,03
ოსი	1464	2,2
რუსი	583	0,9
უკრაინელი	113	0,2
აზერბაიჯანელი	2236	3,4
სომეხი	427	0,6
ებრაელი	-	-
ბერძენი	129	-
ქურთი	-	-
სხვა ეროვნება	1049	1,6

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

2.5. ინფრასტრუქტურა

2.5.1. სოციალური ინფრასტრუქტურა

მცხეთის მუნიციპალიტეტში დღესდღეობით მოქმედებს 34 საჯარო სკოლა (იხ.ცხრილი №12)

ცხრილი №12 მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები

	სკოლა	დირექტორის სახელი და გვარი	მოსწავლეთა საერთო რაოდენობა	პირველკლასელთა რაოდენობა	სკოლა
1	მცხეთის №1	ნატალია მანჯგალაძე	509	38	54
2	მცხეთის №2	ნანა ბოხუა	297	21	36
3	მუხრანის №1	ნანული ჯავახიშვილი	630	47	36
4	მუხრანის №2	ეკატერინე ამირაშვილი	202	17	23
5	მუხრანის ვ3 საბაზო	ლიანა დოლიშვილი	81	9	17
6	წეროვნის №1	ლია მძელური	259	16	27
7	წეროვნის №2	ეთერი ჩიხლაძე	141	6	20
8	წეროვნის №3	რამინი ჩიტიშვილი	940	78	71
9	წილკანი	ლეილა ტაველური	368	32	34
10	გალავანი	ლეილა ჭალელიშვილი	268	18	25
11	საგურამო	მანანა შამხალაშვილი	332	16	36
12	ვაზიანი	მარიამ დათუაშვილი	90	7	20
13	დიღომი	დავით ძნელაძე	725	86	66
14	ზაჰესი	მზია დვალი	720	60	59
15	ქსოვრისი	ლია ხაჩირაშვილი	167	18	23
16	გლდანი	ია აბუაშვილი	211	9	25
17	ციხისძირი	ირმა ალანია	437	64	49
18	ქსანი	ციური	270	21	26

		ხარანაული			
19	ერედა	ნათელა გოგილაშვილი	85	9	22
20	ახალდაბა	ამბროსი ჩაბოშვილი	95	11	21
21	ძეგვი	ფარნაოზ იორდანიშვილი	340	31	32
22	ნიჩბისი	გივი ასლამაზაშვილი	185	20	25
23	ძალისი	იზოლდა ბეკოშვილი	305	30	36
24	ძვ.ქანდა	ნანა ნაკანი	167	6	22
25	ლისი	დემურ ძნელაძე	61	3	19
26	მისაქციელი	ინგა ხუროშვილი	468	36	53
27	ბიწმენდის საბაზო	ნინელი ზურაშვილი	48	6	19
28	ჩარდახის საბაზო	მანია ქასოშვილი	63	7	14
29	მსხალდიდის საბაზო	აკბარ ველიევი	97	8	15
30	ნატახტრის საბაზო	მალხაზ ნოზაძე	114	15	21
31	ნავაზის საბაზო	მარინა სისაური	55	6	16
32	პატარა ქანდის საბაზო	ნატო გოგილაშვილი	100	8	18
33	მართლმადიდებლური	არქიმანდრიტი ილია ნასიძე	186	18	26
34	ათინათი2005	თინათინ კოტორაშვილი	21	0	14

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითრების პროგრამა.

მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება. ამჟამად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაღი, ზოგადი მონაცემები მათ შესახებ მოცემულია ცხრილში №13:

ცხრილი №13 მცხეთის მუნიციპალიტეტის ბავშვთა ბაღები

#	სკოლამდელი დაწესებულებების (საბავშვო ბაღები) ქალაქი, დაბა, თემი, სოფელი	ბავშვების რაოდენობა	პედაგოგების რაოდენობა
1	მცხეთის #1 ბ/ბაღი	47	4
2	მცხეთის#1 საბ/ბაღი	13	1
3	მცხეთის #3 ბ/ბაღი	100	8
4	მცხეთის #4 ბ/ბაღი	126	8
5	მცხეთის #5 ბ/ბაღი	40	4
6	მცხეთის #6 ბ/ბაღი	32	1
7	ქსნის #1 საბ/ბაღი	36	1
8	ქსნის #2 ბ/ბაღი	47	4
9	ძალისის ბ/ბაღი	56	4
10	ჩარდახის ბ/ბაღი	74	5
11	ძეგვის ბ/ბაღი	29	1
12	ერედის საბ/ბაღი	23	1
13	ქსოვრისის საბ/ბაღი	35	1
14	მუხრანის #1 საბ/ბაღი	106	6
15	მუხრანის #2 ბ/ბაღი	109	6
16	წილკნის საბ/ბაღი	80	4
17	სელექციის საბ/ბაღი	33	1
18	ლისის საბ/ბაღი	22	1
19	საგურამოს ბ/ბაღი	99	6

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითრების პროგრამა.

საერთო ჯამში ბავშვების რაოდენობა შეადგენს 1107-ს, ხოლო პედაგოგთა საერთო რაოდენობა კი 67-ს.

მცხეთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ძირითადად წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ხოლო კერძო ბაღები არაა რეგისტრირებული (იხ. ცხრილი №14)

ცხრილი №14 საბავშვო ბაღები საკუთრების ფორმის მიხედვით

სულ	ქალაქი		სოფელი		დაბა	
19	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო	საჯარო	კერძო
	6		13		-------	

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითრების პროგრამა

რაც შეეხება პროფესიულ სასწავლებლებს, მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებობს 3 მუსიკალური სკოლა:

- მცხეთის დ. გამრეკელის სახელობის ხელოვნების სკოლა – სარეაბილიტაციოა (170 მოსწავლეა);
- საგურამოს დ. თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა – საკუთარი შენობა არ გააჩნია (70 მოსწავლეა);
- ქსნის სამუსიკო სკოლა – სარეაბილიტაციოა (95 მოსწავლეა).

ასევე მუნიციპალიტეტში არსებობს ერთი სასპორტო სკოლა, ერთი საჭიდაო დარბაზი (დაუმთავრებელი), სტადიონი და მინი – სტადიონი, ერთად – 17 ერთეული.

მცხეთის მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის სფეროს მონაცემებია:

- ექიმების რიცხოვნობა – 143 + 20 სასწრაფო;
- საავადმყოფოების რაოდენობა - 1;
- საავადმყოფო საწოლების რაოდენობა – 40 საწოლი;
- ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა რაოდენობა – 2;
- პოლიკლინიკა, 15 ამბულატორია;
- სასწრაფო დახმარების პუნქტების რაოდენობა – 2 ;
- შპს ,,მცხეთის სასწრაფო დახმარების სამსახური 03" -12 ექიმი, 12 ექთანი, 4 ოპერატორი;
- შპს ,,ახალგორის პოლიკლინიკური განყოფილება" -1;
- შპს ,,ახალგორის 03 სამსახური – სულ 20 ექიმი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლების რაოდენობა შეადგენს 270, მათ შორის ყველაზე ცნობილია:

1. ქ. მცხეთა. ძველი ქალაქის უბნები: არმაზციხე – ბაგინეთი-ქართლის სამეფო რეზიდენცია ახ.წ. I-V სს;
2. ქართლის პიტიახშთა არმაზის ხევის რეზიდენცია-ახ.წ. I-V სს. აბანო ძვ.წ.აღ. IV – ახ.წ. IV საუკუნეები;
3. ბებრის ციხე – ადრე შუა საუკუნეები ;
4. სვეტიცხოვლის ანსამბლი: გუმბათიანი ტაძარი, აშენებულია 1010-1029 წლებში;
5. სამთავრო – გუმბათიანი ეკლესია IX-XI სს, სამთავროს სამაროვანი - ძვ.წ. III ათასწ.
6. წმ. ნინოს გუმბათიანი ეკლესია - V-VI სს.
7. ანტიოქიის ეკლესია – V-VI სს.
8. მცხეთის ჯვრის ტაძარი – VI-VII სს.
9. მცხეთის აკლდამა – I_II სს.

10. შიომღვიმის მონასტრის კომპლექსი – სამონასტრო ანსამბლი: გუმბათიანი ეკლესია, VI ს. დიდი ტაძარი XII ს.
11. ზედაზენი – სამონასტრო ანსამბლი: ეკლესია VII-IX სს. ციხე შუა სს.
12. ძალისის ნაქალაქარი – ძვ.წ.აღ. II – ახ.წ. VII სს.
13. წილკნის ღვთისმშობლის ეკლესია – სამნავიანი ბაზილიკა V-VI სს. გუმბათიანი ეკლესია შუა სს.
14. მუხრანის ციხე-გალავანი XIII ს. ორი ეკლესიით, ბაგრატიონთა დინასტიის სასახლე XIX ს.
15. კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია XII ს.

მუზეუმები:

1. დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი (ქ. მცხეთა)
2. ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმი (სოფ. საგურამო)

ღია მუზეუმები:

- ბაგინეთი – ქართლის სამეფო რეზიდენცია
- ქართლის პიტიახშთა არმაზისხევის რეზიდენცია
- სამთავროს სამაროვანი
- ძალისის ნაქალაქარი

გასართობი ინფრასტრუქტურა

მცხეთის მუნიციპალიტეტში მოწყობილია – 10 სკვერი, 2 პარკი, გამწვანების ზოლთან ერთად ფართი შეადგენს 120000 კვ.მ, აქედან მხოლოდ პარკები და სკვერები გაშენებულია 68000 კვ.მ

2.5.2. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზი, საქართველოს სამხედრო გზა (თბილისი-სენაკი-ლესელიძის და თბილისი-სტეფანწმინდა-ლარსის ავტომაგისტრალის მონაკვეთი) და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები.

შიდა გზების მდგომარეობა ზოგადად დამაკმაყოფილებელია, მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, ქვემოთ მოცემულია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით:

- საერთო სიგრძე - 260 კმ.
- ასფალტო - ბეტონით დაფარულია – 98,35 კმ.
- შავი გზატკეცილი – 36,89 კმ.
- ხრეშოვანი გზა _ 119,51 კმ.
- ხიდების რაოდენობა და სიგრძე, სულ: 261/4112,5 გრძ.მ.
  მთლიანი - 7 /275 ც/გრძ.მ. აქედან რკინა-ბეტონის - 5/151 ც/გრძ.მ.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები:

- გზის სიგრძე - 1.9 კმ.
- მყარი საფარით (ასფალტო-ბეტონი) – 1,9 კმ;.
- ცემენტის საფარით - 0 კმ.
- ღორღით დაფარული - 0 კმ.

საერთაშორისო მნიშვნელობის გზები მოცემულია

- გზის სიგრძე - 83,9 კმ.
- მყარი საფარით (ასფალტო-ბეტონი) – 83,9კმ.
- ცემენტო-ბეტონი - 0 კმ.
- ღორღით დაფარული - 0 კმ.

ხიდები (თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს.გზის კმ 15,4 – კმ 27 მონაკვეთზე)

- ესტაკადა - 1456 მ.
- ზაჰესი- მცხეთა –კავთისხევი – გორი (2 ხიდი) 15 მ.
- ზაჰესი – ჯვრის მონასტერი:
  1) მტკვრის ხიდი - 77 მ.
  2) არხის ხიდი - 29,7 მ .
  1) ნატახტარი – მუხრანი - ნარეკვავის ხიდი 33 მ.

სატრანსპორტო არტერიები:

1. თბილისი - სტეფანწმინდა – ლარსი;
2. თბილისი – სენაკი - ლესელიძის მაგისტრალი.

სარკინიგზო მაგისტრალის სიგრძე მცხეთის მუნიციპალიტეტში შეადგენს – 26 კმ-ს.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (ავტობუსები, სატვირთო ავტომანქანები მიკროავტობუსები, მსუბუქი ავტომანქანები)

ტრანსპორტი-ტექნიკა:

- მსუბუქი – 5748;
- სატვირთო – 864;
- ავტობუსი-მიკროავტობუსი 260.

ცხრილ №15-ში მოცემულია სატრანსპორტო ორგანიზაციები და მათი მაჩვენებლები:

ცხრილ №15 სატრანსპორტო ორგანიზაციები და მათი მაჩვენებლები

#	საწარმოს დასახელება	დასაქმებულთა რაოდენობა კაცი	გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა	ავტოსატრა-ნსპორტო საშუალება-თა რაოდენობა
1	შპს ,,ახალგორის" ერთიანობა		12416	**7**
2	შპს ,,თეძამი" თბილისი- ბიწმენდი-გალავანი-საგურამო	14	2700	**10**
3	ი/მ ჯემალი მიქელაძე (მუხრანი - თბილისი მცხეთა - მუხრანი)	26	14200	**23**
4	შმპ ,,ლიახვი2010"	28	14000	**23**
5	შპს ,,ბიგინეთი" თბილისი-მცხეთა-თბილისი			**11**
6	შპს ,,მცხეთის სატრანსპორტო გაერთიანება"; ადგილობრივი	10	300	**6**
7	შმს ,,მარჯი"	7		**7**
8	მცხეთის შიდა საქალაქო ტრანსპორტი	7		**7**
9	თბილისი-ძალისი	17		**17**
10	თბილისი -ქსანი	6		**6**
11	თბილისი- ქსოვრისი	6		**6**
12	თბილისი- ჩარდახი - წეროვანი - გოროვანი	6		**6**
13	თბილისი - ვაზიანი	3		**3**
14	თბილისი - წილკანი	10		**10**
15	თბილისი - ძეგვი	6		**6**
16	თბილისი - ნიჩბისი	4		**4**
17	თბილისი - მისაქციელი	8		**8**
18	თბილისი - აღდგომიანთკარი - ახალდაბა	1		**1**
19	თბილისი - ქანდა	**5**		**5**

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა.

SWOT ანალიზი

ტრანსპორტი	
S - ძლიერი მხარეები	W - სუსტი მხარეები
• მოსახლეობის გადაადგილების მაღალი დონე • მცხეთის მუნიციპალიტეტის დედაქალაქთან სიახლოვე • სარკინიგზო ინფრასტრუქტურის არსებობა • ხიდები, ესტაკადა • სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების, მიკროავტობუსების სოლიდური რაოდენობით არსებობა	• ფიზიკურად და მორალურად ამორტიზებული სატრანსპორტო საშუალებები • საგზაო მოძრაობის დაგეგმარების მოუწესრიგებლობა • ჰაერის დაბინძურება • სისტემურად ჩამოყალიბებული გადამზიდავი კომპანიების არარსებობა
O - შესაძლებლობები	T - საფრთხეები
• სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება • ტურისტული მარშრუტების განვითარება; • საბაგირო და საჭაპანე ტრანსპორტის განვითარება ტურიზმისათვის • საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემურად განვითრების პერსპექტივები	• კონფლიქტის (ომის) საშიშროება; • საწვავზე ფასის ზრდის მაღალი ალბათობა • ქვეყნაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა

წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემა მცხეთის მუნიციპალიტეტში:

- წყლის სათავე ნაგებობების რაოდენობა–49, აქედან სარეაბილიტაციოა 60 %;
- სასმელი წყლის ქსელი საერთო ქსელის სიგრძე – 132.5 კმ.
- საკანილაზიო სისტემის საერთო ქსელის სიგრძე – 27 კმ.
- სასმელი წყლით უზრუნველყოფის მდგომარეობა ქალაქში -100 %;
- სოფლად – 60 %.

SWOT ანალიზი

ინფრასტრუქტურა	
S - ძლიერი მხარეები	W - სუსტი მხარეები
• საერთაშორისო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების გარკვეული მონაკვეთი • სარკინიგზო მაგისტრალები • ხიდები, ესტაკადა • გასართობი და ტურისტული ინფრასტრუქტურა • წყალმომარაგების სისტემა • ტურისტული ინფრასტრუქტურა • წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემა	• ადგილობრივი გზების უმეტესობა მოითხოვს რეაბილიტაციას • წყალმომარაგების სისტემის 60% არის სარეაბილიტაციო • სარეაბილიტაციოა კულტურული ძეგლების ნაწილი
O - შესაძლებლობები	T- საფრთხეები
• სახელმწიფოს სტრატეგია რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარების შესახებ; • სახელმწიფოს სტრატეგია ტურიზმის განვითარების შესახებ	• კონფლიქტის (ომის) საშიშროება • ქვეყნის შიგნით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა

2.6. დარგობრივი ეკონომიკა

2.6.1. მრეწველობა

სამწუხაროა, რომ დღეის მდგომარეობით დარგობრივი ეკონომიკის სხვადასხვა სფეროების ირგვლივ უმეტესად არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები მუნიციპალურ დონეზე, ამდენად გთავაზობთ იმ მაჩვენებლებს, რომლებშიც მოცემულია რეგიონალური დონის დინამიკა და რომელიც მოწოდებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ:

სამრეწველო საწარმოთა ძირითადი მაჩვენებლები 2010 წლის 1 იანვრისათვის:

ცხრილი №16 რეგისტრირებული საწარმოები

	2006	2007	2008
რეგისტრირებული საწარმოები	4628	5325	**5764**
სტატისტიკის მიერ გამოკვლეული საწარმოები	**703**	**469**	**361**

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტის ეროვნული სამსახური.

მრეწველობის სფეროში სხვადასხვა მაჩვენებლების შედარებისას დინამიკა არაერთგვაროვანია, მოცემული მაჩვნებლები მოცემულია №17 ცხრილში:

ცხრილი №17 სხვადასხვა მაჩვენებლები მრეწველობის სფეროში:

	2006	2007	2008
ბრუნვა, მლნ.ლარი	82,6	98,2	**113,9**
პროდუქციის გამოშვება, მლნ.ლარი	84,5	80,4	**98,9**
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	1957	1786	**1630**
დასაქმებულთა საშუალო ანაზღაურება ლარი	**425,9**	**393,6**	**568,3**

როგორც ცხრილი №17 დან ჩანს მრეწველობის სფეროში ბრუნვის მაჩვენებელი 2007 წელს იყო 19%-ით მეტი ვიდრე 2006 წელს, ხოლო 2008 წელს 16%- ით მეტი, ვიდრე 2007 წელს, რაც კარგი ტენდენციაა.

პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი 2007 წელს 7,6%-ით დაეცა წინა წელთან შედარებით, ხოლო მომავალ 2008 წელს იგივე მაჩვენებელი გაიზარდა 44%-ით.

დასაქმებულთა რაოდენობამ 2007 წელს წინა წელთან შედარებით იკლო 8.7% - ით და ზუსტად ამავე პროცენტული ოდენობით კვლავ იკლო დასაქმების მაჩვენებელმა 2008 წელს (8.7%).

SWOT ანალიზი:

მრეწველობა	
S - ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
• **იაფი სამუშაო ძალა** • **მუნიციპალიტეტში სხვადასხვა პროფილის სამრეწველო დარგების არსებობა** • **მუნიციპალიტეტის დედაქალაქთან სიახლოვე**	• ინვესტიციების დაბალი მაჩვენებელი • საბანკო კრედიტების მაღალი საპროცენტო მაჩვენებლები • სფეროში არსებული ინფრასტრუქტურის ფიზიკური და მორალური ცვეთა • ადგილობრივისტატისტიკის არარსებობა მრეწველობის კუთხით
O - შესაძლებლობები	**T - საფრთხეები**
• **სახელმწიფოს მხრიდან (სხვადასხვა მექანიზმებით) კერძო სექტორის სტიმულირება. მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა** • **კრიმინალური გარემოს გაუმჯობესება ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესება** • **სახელმწიფოს მხრიდან კონკურენტული გარემოს შექმნა (ანტიმონოპოლიური რეგულირება და სხვ.)**	• კონფლიქტის (ომის) საშიშროება • ქვეყნის შიგნით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა • ეროვნული ვალუტის კურსის რყევა • მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა

2.6.2. სოფლის მეურნეობა

მცხეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მებოსტნეობა-მებაღეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა, მოჰყავთ მარცვლეული.

მუნიციპალიტეტში კვების გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ძირითადი საშუალებაა აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და მისი სამრეწველო გადამუშავების შესაძლო მოცულობები, რომლის კარგად დაგეგმარების შემთხვევაში შესაძლებელია მუნიციპალური ბიუჯეტისთვის დამატებითი შესაძლებლობების შექმნა. მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებობს პოტენციალი წარმოებულ იქნეს ეკოლოგიურად სუფთა, საექსპორტო და შიდა ბაზრისათვის განკუთვნილი კვების პროდუქტები, სხვადასხვა სახის კონსერვები, ტომატ-პასტები, ნატურალური წვენები, მურაბები, კომპოტები და სხვა. დასახელებული პროდუქციის წარმოების გამოცდილება მუნიციპალიტეტში არსებულ და სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო გაჩერებულ საკონსერვო მრეწველობის ობიექტებს გააჩნიათ, მათი ამოქმედების შემთხვევაში, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებში შექმნილმა საერთო პროდუქციამ ათეული მლნ. ლარი უნდა შეადგინოს, რისთვისაც საჭიროა ფინანსური ინვესტიციები.

მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები განაპირობებს მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის, მეთევზეობის დარგების სწრაფ განვითარებას. მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ადგილობრივი და შიდა რაიონული ბაზრები უნდა დაიტვირთოს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით, ღორით და ფრინველით. ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებულ პირთა ფინანსური ხელშეწყობით, შესაძლებელია ათეულ მლნ. ლარამდე შემოსავლების მიღება.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები : სულ 23636 ჰა

მათ შორის:

- სახნავი - 12195 ჰა (აქედან ათვისებულია საშუალოდ 6-7 ათასი ჰექტარი);
- მრავალწლიანი ნარგავები – 3905 ჰა;
- სათიბი – 271 ჰა;
- საძოვრები – 7265 ჰა.

მსხვილი ფერმერული მეურნეობები (წარმოების მასშტაბების მიხედვით):

- დიდი -1
- საშუალო – 1
- მცირე - 1
- ფერმერთა ასოციაციები – არ არის
- კოოპერატივები _ არ არის

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საშუალო სიმძლავრის მეფრინველეობის ფაბრიკა ი/მ ,,ნოზაძე" და 3 მცირე საწარმო ამავე პროფილით. აგრეთვე გაიხსნა ხორცის გადამამუშავებელი საწარმო.

ქვემოთ მოცემულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობა და მათი პროფილი:

- შამპანურის ჩამოსხმა – 1;
- საკონსერვო წარმოება – 1 (გაჩერებულია);
- შოკოლადის წარმოება - 1;
- საფრინველე (მოშენება - დაკვლა) – 9;
- თხილის გადამუშავება – 1;
- ღვინის წარმოება – 3;
- ფერმა – 3;
- მაიონეზის წარმოება - 1;
- კარაქის წარმოება – 1;
- ელიტარული თესლის წარმოება – 1 (მარცვლეული).

ცხრილი №18 წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა ნატურაში და ფულად გამოსახულებაში (ათას ლარებში)

#	დასახელება	2010 წ.	ათ.ლარი
1	ხორცის წარმოება (ტ)	3500	**20000,0**
2	რძის წარმოება (ტ)	14000	**7000,0**
3	კვერცხის წარმოება (ათ. ცალი)	10000	**3000,0**
4	მატყლის წარმოება (ტ)	15	**45,0**
5	ხილი (ტ)	500	**500,0**
6	ყურძენი (ტ)	300	**210,0**
7	ხორბალი (ტ)	600	**300,0**
8	ქერი (ტ)	60	**24,0**
9	ლობიო (ტ)	30	**90,0**
10	სიმინდი (ტ)	300	**150,0**
11	ბოსტნეული (ტ)	250	**125,0**
12	ერთწლიანი ბალახი (თივა) (ტ)	900	**45,0**

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

მიწის ხარისხი და მისი ანალიზი არ გაკეთებულა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, თუმცა, ადრინდელი გამოკვლევების შედეგად სხვადასხვა ფართობების 80% შეფასებულია, როგორც „კარგი".

SWOT ანალიზი:

სოფლის მეურნეობა	
S - ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
• **მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამოცდილება** • **ნოყიერი ნიადაგების არსებობა** • **დარგის განვითარებისთვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არსებობა** • **მრავალწლიანი კულტურები არსებობა** • **კარგი ეკოლოგიური გარემო**	• თანამედროვე სტანდარტების მქონე მექანიზაციის სიმწირე • სამელიორაციო და სარწყავი სისტემების გაუმართაობა • მუნიციპალური ქონების (ამ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო მიწების) დაკანონების პროცესის გაჭიანურება • აგროქიმიისა და აგრონომიის სფეროების სისტემური მოშლა • ფერმერთა კოოპერაციული გაერთიანებების არარსებობა • საბანკო და სადაზღვევო სისტემების განუვითარებლობა სოფლის მეურნეობის სფეროში

O - შესაძლებლობები	T - საფთხეები
• სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის სტრატეგიულ მიმართულებად აღიარება • ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პერსპექტივები • სახელმწიფოს მხრიდან სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღონისძიებების არსებობა • საბანკო და სადაზღვევო სისტემების განვითარების პერსპექტივები სოფლის მეურნეობის სფეროში • აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები	• ბუნებრივი კატასტროფები • ქვეყანაში და მის გარეთ პოლიტიკური არასტაბილურობა • გარემოს დაბინძურება • კონფლიქტის (ომის) საშიშროება • ქვეყნაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა • მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა

ცხრილი №19 მცხეთის მუნიციპალიტეტის მიწის ბალანსი ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

	სულ მიწები ჰა	ჯამში	აქედან		მათ შორის		
№	ტერიტორიული ერთეული		სასოფლო-სამეურნეო სავარგული	სახნავი	მრავალწლიანი ნარგავები	სათიბი	საძოვარი
1	მუხრანი	3879	3319	2225	642	0	452
2	საგურამო	1930	1556	903	167	11	475
3	ცხვარიჭამია	3220	2319	355	112	171	1681
4	გალავანი	2768	2224	1198	635	-	391
5	ლისი	2384	1347	428	300	39	580
6	მისაქციელი	2755	1984	1360	370	-	254
7	ნიჩბისი	4047	2857	808	96	32	1921
8	წილკანი	3599	3035	2101	534	9	391
9	წეროვანი	2547	2106	931	717	-	458
10	ქსოვრისი	1588	1140	757	138	-	245
11	ძეგვი	638	237	160	27	-	50
12	ქსანი	256	75	58	4	-	13
13	ქ.მცხეთა	928	17	17	-	-	-
14	სხვა დანარჩენი	41575	901	593	163	9	128

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

2.6.3. ტურიზმი

აღსანიშნავია, რომ ქალაქი მცხეთა ითვლება ქალაქ-მუზეუმად, სადაც მრავლადაა ისტორიული ძეგლი და ადგილი, რომლებიც მიმზიდველია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტურისტისათვის, რასაც ყველაფერთან ერთად ხელს უწყობს დედაქალაქთან სიახლოვეც, ჯერ-ჯეროობით ტურისტული ნაკადები ატარებს სტიქიურ ხასიათს და ამ მიმართულებით ვითარება არ არის მოწესრიგებული და დარეგულირებული. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის განვითარება მომგებიანი იქნება როგორც ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, ასევე მოსახლეობისათვის.

მცხეთის მუნიციპალიტეტში კლიმატურ საკურორტო ზონებად ითვლება: მცხეთა, წიწამური, ზედაზენი, საგურამო, ცხვარიჭამია და კარდიოლოგიური პროფილის საკურორტო ადგილად მიჩნეულია სოფ. საგურამო, ხოლო ბალნეოლოგიურ კურორტად – კარსანი. ტერიტორიაზე მოქმედებს პირველი კატეგორიის საგურამოს ნაკრძალი (5300 ჰა), რომელიც შეიქმნა კოლხური ტიპის მცენარეების დაცვის, შესწავლისა და გამრავლების მიზნით. ტბებიდან აღსანიშნავია – ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე მცირე ტბები. ხელოვნური წყალსაცავები. მინერალური წყალი სოფ. წიწამურთან.

ქ. მცხეთა თავისი ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობით ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით პერსპექტიული ქალაქია და უდიდესი ტურისტული ატრაქციაა - იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საგანძურის ნაწილი. როგორც ზემოთ ითქვა, მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალია.

სტუმრების სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე 2010 წლის 9 თვის განმავლობაში მცხეთის საინფორმაციო ცენტრს მიმართა 2417 უცხოელმა სტუმარმა.

2009 წელს მცხეთაში შემოვიდა დაახლოებით 60000-მდე ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორი, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მომსახურებით ისარგებლა _ 3773-მა უცხოელმა ვიზიტორმა. 2009 წელს 2008 წელთან შედარებით საგრძნობლად მოიმატა ტურისტთა და ვიზიტორთა რაოდენობამ.

2010 წელს 9 თვეში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 2417 უცხოელმა ვიზიტორმა, რაც მ.წ. მცხეთის ვიზიტორების საერთო რაოდენობასთან შედარებით ძალზედ მცირეა. ამის მიზეზი არის ის, რომ სვეტიცხოვლის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ივლისის თვიდან საინფორმაციო ცენტრის ოფისი გადატანილია მცხეთის მუზეუმის შენობაში, ამ პერიოდში მცხეთაში ბევრი იყო ადგილობრივი ვიზიტორიც.

SWOT ანალიზი:

ტურიზმი	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
• **მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიური ძეგლების არსებობა** • **მცხეთის დედაქალაქთან ფიზიკური სიახლოვე** • **სვეტიცხოვლის უბნის რესტავრაცია** • **მრავალფეროვანი ლანდშაფტური პირობები** • **ოჯახური სასტუმროების ქსელი**	• ძირითადი ტურისტულ და საკურორტო ობიექტებში ლტოლვილებით დასახლება • დაზიანებული (სარეაბილიტაციო) კულტურული ძეგლები • ინფრასტრუქტურის დაბალი დონე • დასვენების და გართობის ბაზების სიმცირე
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• **არსებული პრობლემების გადაჭრისათვის სახელმწიფოს აქტიურობა, გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება** • **ინვესტორების დაინტერესება და მოზიდვა** • **არსებული ისტორიული და არქიტექ-ტურული ძეგლების რესტავრაციის და შემდგომი მოვლა-შენახვის პერსპექტივები**	• კონფლიქტის (ომის) საშიშროება • ქვეყნაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა

2.6.4. ენერგეტიკა

მცხეთის მუნიციპალიტეტში ენერგეტიკის ძირითადი ობიექტებია :

- ზაჰესის ელექტროსადგური
- მისაქციელის ელექტროსადგური

მუნიციპალიტეტის თითქმის მთლიან ტერიტორიაზე ენერგომომარაგება არის სრული, ხოლო პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაზმომარაგებას აწარმოებს 2 კომპანია ,,ქართლი გაზი'' და ,,სოკარი'' . მოსახლეობის 60 % გაზიფიცირებულია. მიმდინარეობს დარჩენილი მოსახლეობის გაზიფიცირების სამუშაოები.

SWOT ანალიზი

ენერგეტიკა	
S - ძლიერი მხარეები	**W - სუსტი მხარეები**
• მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტობა • მოსახლეობის 60%-იანი გაზიფიცირება • ზაჰესის ელექტროსადგური • მისაქციელის ელექტროსადგური	• მოსახლეობის 40% არ არის გაზიფიცირებული • ელ.ენერგიის მომხმარებლები სრულად არ არიან გამრიცხველიანებული
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• მოსახლეობის სრული გაზიფიცირების უზრუნველყოფა • ტარიფების ოპტიმალურად შემცირება; • მომხმარებლების გამრიცხველიანების სამუშაოების დასრულება • ჰიდრო რესურსები ჰესების ასამოქმედებლად • მზის ენერგიის სრული გამოყენება	• დივერსიული ფაქტების საშიშროება • მეტეოროლოგიური მიზეზებით ენერგო ინფრასტრუქტურის დაზიანება • ქვეყნაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობა

2.7. სოციალური მდგომარეობა

2.7.1. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 17 მარტის №51 დადგენილებით, ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის მიზნით შეიქმნა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომელიც ითვალისწინებს საარსებო შემწეობის მიღებას ოჯახის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მონაცემებით, ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია 6520 ოჯახი (20378 მოსახლე). აქედან 2000 ოჯახი იღებს საარსებო შემწეობას. ზოგ ოჯახს, რომელსაც უარი ეთქვა დახმარების დანიშვნაზე, ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ოჯახები არ მიეკუთვნებიან უმწეო ფენას. პროგრამის მეთოდოლოგიის მიხედვით, მცირე დეტალმა შეიძლება ოჯახი სიღარიბის ზღვარს ზემოთ სულ რამდენიმე ქულით აწიოს, მაგრამ ოჯახი ისეთივე სავალალო მდგომარეობაში იყოს და საჭიროებდეს დახმარებას, როგორც შემწეობადანიშნული ოჯახები.

2.7.2. იძულებით გადაადგილებული პირები

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მცხეთის მუნიციპალიტეტში 2010 დეკემბრის მონაცემებით დევნილთა 231 ოჯახია (628 ადამიანი) რეგისტრირებული ბაზაში, მათგან საარსებო შემწეობას იღებს 75 ოჯახი.

2.7.3. პენსიონრები კატეგორიების მიხედვით

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პენსიონერთა რაოდენობა 2010 წლის დეკემბრის მდომარეობით შეადგენდა 8755-ს. პენსიონერთა კატეგორიების მიხედვით დაყოფა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (იხ. ცხრილი №20).

ცხრილი №20.პენსიის მიმღებთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

პენსიონერთა ჯგუფი	ასაკით პენსიონერი პირები	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	მარჩენალ-დაკარგული ოჯახის წევრები	პოლიტი-კურად რეპრესირ-ებულები	წელთა ნამსახურ-რებით	სულ
მიმღებ პენსიონერთა რაოდენობა	**6963**	**1431**	**332**	**27**	**2**	**8755**

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო, www.ssa.gov.ge

პენსიონერთა რაოდენობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 13,6%-ს შეადგენს. ყველაზე დიდი ასაკობრივი ჯგუფი პენსიის მიმღებთა კატეგორიაში არის 70-74 წლის ასაკობრივი ჯგუფი (იხ. ცხრილი №21).

ცხრილი №21.პენსიის მიმღებთა რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფები	79+	75-79	70-74	65-69	60-64	სხვა	სულ
მიმღებ პენსიონერთა რაოდენობა	1182	1298	2182	1237	1225	1631	8755

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო, www.ssa.gov.ge

რაც შეეხება პენსიის სიდიდეს, პენსიის მიმღებთა ყველაზე დიდი კატეგორია იღებს თვეში 80 ლარის ოდენობის პენსიას (იხ. ცხრილი №22).

ცხრილი №22. პენსიონერთა რაოდენობა პენსიის ოდენობის მიხედვით

პენსიის რაოდენობა (ლარი)	55	70	80	84	129	სულ
მიმღებ პენსიონერთა რაოდენობა	361	1150	7207	18	19	8755

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო www.ssa.gov.ge

2.7.4. სხვა სოციალური ფენები

სახელმწიფოს მიერ დანიშნულ საყოფაცხოვრებო სუბსიდიას იღებს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 786 ადამიანი, რომელთაგან 483 პენსიონერია, 89 - სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები, 214 - სუბსიდიის მიმღები არაპენსიონერი.

სახელმწიფოს მიერ დანიშნულ სპეციალურ კომპენსაციას იღებს მცხეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 281 ადამიანი. ისინი ძირითადად ყოფილი ძალოვანი უწყებების თანამშრომლები არიან (შინაგან საქმეთა, თავდაცვის და უშიშროების სამინისტროები), რომელთაც ამოეწურათ ნამსახურების ვადა. მათგან 230 შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ მუშაკებს განეკუთვნება, 24 თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს, 6 უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებს, 3 პროკურატურის, 1 ყოფილი მოსამართლე, 1 სამოქალაქო ავიაციის მომსახურე, ხოლო 15 მეცნიერს.

2.8. საჯარო ფინანსები (ადგილობრივი ბიუჯეტი)

2.8.1. ბიუჯეტის შემოსულობები

აღნიშნულ ქვეთავში მოცემულია მცხეთის მუნიციპალიტეტის 2008-2010 წლის ბიუჯეტების შემოსულობების ანალიზი. ქვემოთ მოცემულია 2008-2010 წლების შემოსულობები და მასში შემავალი კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულება (იხ.ცხრილი №23):

ცხრილი №23 მცხეთის მუნიციპალიტეტის 2008-2010 წლების შემოსულობები

(ათას ლარებში)

დასახელება	2008 ფაქტი	2009 ფაქტი	2010 ფაქტი
შემოსულობები	114097.4	16832.2	13443.1
შემოსავლები	109304.9	9507.5	10979.1
გადასახადები	2222.9	2793.3	2800
გრანტები	106326.4	6139.7	7507.1
სხვა შემოსავლები	755.6	574.5	672
არაფინანსური აქტივების კლება	4792.5	7324.7	2464
ფინანსური აქტივების კლება	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0

როგორც ცხრილი №23-დან ჩანს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შემოსულობების მიხედვით იყო 2008 წელს (114097.4 ათასი ლარი), აღნიშნული მაჩვენებელი 85,2%-ით აღემატებოდა შემდეგი წლის ანალოგიურ მონაცემს, ხოლო 2010 წელს მცხეთის ბიუჯეტის შემოსულობა კვლავ 15,4 %-ით დაეცა 2009 წელთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წელს ბიუჯეტის შემოსულობების მკვეთრი ზრდა გამოწვეული იყო რუსულ-ქართული კონფლიქტის შედეგად მცხეთის მუნიციპალიტეტში დევნილთა დახმარებისთვის გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერით.

რაც შეეხება 2008 წელს უშუალოდ შემოსავლების ნაწილს მთლიან შემოსულობებში, მას 95,7%, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებას 4,3% უჭირავს, გრანტების პროცენტული წილი მთლიან შემოსულობებში იყო 93,1%.

2009 წელს შემოსავლებმა მთლიან შემოსულობებში 56,4% შეადგინა, მათ შორის 16,5% იყო გადასახადები, 36,4% გრანტები 3,4% კი სხვა შემოსავლები. არაფინანსური აქტივების კლებამ 43,6 %-ს მიაღწია.

2010 წელს შემოსავლების წილი შემოსულობებში იყო 81,7%, სადაც გადასახადებს უჭირავს 20,8%, ხოლო გრანტებს 55,8%. არაფინანსური აქტივების კლება 18,3%.

როგორც შემოსულობების ანალიზიდან ირკვევა, დადებითი ტენდენციაა ის, რომ 2010 წელს საგრძნობლად შემცირდა არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები, თუმცა ცუდია, რომ კვლავაც გრანტები შეადგენენ ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირების მნიშვნელოვან წყაროს. თუმცა 2009-2010 წლებში გადასახადების წილის მატება 2008 წელთან შედარებით უდაოდ დადებითი მოვლენაა.

როგორც ცხრილი №23-დან ჩანს 2008-2010 წლებში ცვლილებები არ მომხდარა ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის ნაწილში და მათი აბსოლუტური მოცულობები საკვლევ პერიოდში ნულის ტოლია.

დიაგრამა №3 მცხეთის მუნიციპალიტეტის შემოსავლების წილი მთლიან შემოსულობებში (2008-2010 წ.)



2.8.2. ბიუჯეტის გადასახდელები

საინტერესოა, რომ დინამიკაში იქნეს განხილული მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები სამი წლის მაჩვენებლებლის მიხედვით, ცხრილ №24-ში მოცემულია 2008-2010 წლების გადასახდელები, მასში შემავალი კომპონენტები და მათი ურთიერთდამოკიდებულება:

ცხრილი №24 მცხეთის მუნიციპალიტეტის 2008 -2010 წლების გადასახდელები:
(ათას ლარებში)

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2008 ფაქტი	2009 ფაქტი	2010 ფაქტი
გადასახდელები	113997.5	16586	14768.4
ხარჯები	4933.3	13527.5	13300.7
შრომის ანაზღაურება	1026.6	1040.2	1062.5
საქონელი და მომსახურება	960.2	1593.3	2507.2
პროცენტი	0	34.2	203.2
სუბსიდიები	2298.2	1,990.6	1939.7
გრანტები	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	562.5	1399.7	595.6
სხვა ხარჯები	85.8	7469.5	6992.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	108779.6	3058.4	1424.3
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0
ვალდებულებების კლება	284.6	0	43.4
ნაშთის ცვლილება	99.9	246.3	-1325.3

როგორც ცხრილი №24-დან ჩანს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გადასახდელების მიხედვით იყო 2008 წელს (113997.5 ათასი ლარი), აღნიშნული მაჩვენებელი 85,5%-ით აღემატებოდა შემდეგი წლის ანალოგიურ მონაცემს, ხოლო 2010 წელს მცხეთის ბიუჯეტის გადასახდელები კვლავ 15,4%-ით დაეცა 2009 წელთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წელს ბიუჯეტის გადასახდელების მკვეთრი ზრდა გამოწვეული იყო რუსულ-ქართული კონფლიქტის შედეგად მცხეთის მუნიციპალიტეტში დევნილთა დახმარებისთვის (სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში) გაწეული დანახარჯებით.

რაც შეეხება 2008 წელს უშუალოდ ხარჯების ნაწილს მთლიან გადასახდელებში, მას 4,3%, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდას 95,4% უჭირავს. მთლიან ხარჯებში შრომის ანაზღაურების პროცენტული წილი იყო 0,9%, საქონელსა და მომსახურებას ეჭირა 0,8%, სუბსიდიებს 2%, გრანტების სახით არცერთ საკვლევ წელს ფინანსური რესურსი ბიუჯეტიდან არ გახარჯულა. სოციალურ უზრუნველყოფას ეკავა 2%, სხვა ხარჯების შემცველობა იყო მინიმალური და მან 0,4% შეადგინა.

ფინანსური აქტივების ზრდა პრაქტიკულად არ ყოფილა არცერთ საკვლევ წელს, ვალდებულებების კლებამ კი 284.6 ათასი ლარი შეადგინა.

2009 წელს ხარჯებმა მთლიან გადასახდელებში 81.5% შეადგინა, არაფინანსური აქტივების ზრდამ კი 18,4%. ხარჯებში 6,2% იყო შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება 9%,

პროცენტი 0,2%, სუბსიდიები 12%, სოციალური უზრუნველყოფა 13,1%, რაც შეეხება სხვა ხარჯებს, 2009 წელს მისი ოდენობა იყო 47 %.

2010 წელს ხარჯების წილი გადასახდელებში იყო 90 %, მათ შორის შრომის ანაზღაურებას უჭირავს 7,1%, საქონელმა და მომსახურებამ შეადგინა 16,9%, პროცენტი გაიზარდა წინა წელთან შედარებით და მთლიანი ხარჯების 1,3% შეადგინა, სუბსიდიები იყო 13,1%, ხოლო სოციალურმა უზრუნველყოფამ შეადგინა 4%. სხვა ხარჯების შემცველობამ წინა წელთან შედარებით ოდნავ დაიკლო და 45% შეადგინა. არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი 2010 წელს იყო 9,6%.

აღსანიშნავია, რომ 2009-2010 წლებში სხვა ხარჯების მკვეთრი ზრდა 2008 წელთან შედარებით, არასასურველი ტენდენციაა, ასევე უარყოფითი მოვლენაა არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი კლება ბოლო წლებში.

SWOT ანალიზი:

საჯარო ფინანსები	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
• **„არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსავლების შემცირების ტენდენცია** • **2012 წლიდან ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსების პრინციპზე გადასვლა**	• ბიუჯეტის შემოსულობების შემცირების ტენდენცია • ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში საგადასახადო შემოსავლების სიმწირე • უარყოფითი სალდო; „არაფინანსური აქტივების ზრდის“ შემცირების ტენდენცია • სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული გადასახდელების შემცირების ტენდენცია
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• **სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს საგადასახადო შემოსავლების ზრდას** • **არაფინანსური აქტივების ზრდისთვის გაწეული გადასახდელების მაქსიმიზაცია** • **ადმინისტრაციული ხარჯების მინიმიზაცია** • **სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯების მაქსიმიზაცია**	• მომავალ წელს საგადასახადო შემოსავლების შემცირება • მომავალი წლის გადასახდელებში ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა • მომავალი წლის შემოსულობებს და გადასახდელებს შორის უარყოფითი სალდოს ზრდა

2.9. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონება

მცხეთის მუნიციპალიტეტისთვის ქონების გადაცემის პროცესი დაიწყო მას შემდეგ, რაც 2005 წელს მიღებულ იქნა კანონი ,,თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“, აღნიშნული პროცესი დღემდე არ დასრულებულა. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში მოცემულია როგორც მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება (ძირითადი და დამატებითი ქონება), ასევე ის ქონებაც, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2.9.1. სახელმწიფო ქონება

ცხრილში №25 მოცემულია იმ ქონების ჩამონათვალი, რომელიც მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ჯერ-ჯერობით წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას:

ცხრილი №25 სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირებული ობიექტები მცხეთის მინიციპალიტეტში (გაკეთებულია მოთხოვნა გადმოცემაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე):

#	ობიექტის დასახელება	შენობის გაშენების ფართი (კვ.მ.)	ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართი (კვ.მ.)	შენობის სავარაუდო და გასაყიდი ფასი	მიწის სავარაუდო და გასაყიდი ფასი	სულ ფასი
1	ქ. მცხეთა					
	ქ. მცხეთაში თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე სატრანზიტო საწყობის შენობა	503	872	21150ლ 12590	23720ლ 14120	44870 ლ 26710
	კარსნის ასახვევში მდებარე, ყოფილი რკინიგზის ორსართულიანი შენობა	275	1035	46348ლ 27600	35200ლ 20950	81564 ლ 48550
	ქ. მცხეთის თეატრი-სტუდია	239,4	1400	34220ლ 19667	4200ლ 24137	76220 ლ 43804
	მცხეთის მშენებარე სტამბა	#1_ 1855 #2_96	6575	92390ლ 51788	197250ლ 110566	289640ლ 162354
	არმაზის კლუბ-კანტორა	97,52	320	11300ლ 6457	7840ლ 4543	19140 ლ 11000
	ბაგინეთის ქუჩაზე მდებარე ავტო-სკოლა	#1_260 #2_15	930	28700ლ 17080	25296ლ 15060	54000 ლ 32140

	კერამიკული ქარხნის ადმინისტრაციული კორპუსი	242	2127	72600ლ	148890ლ	221490ლ
	კერამიკული ქარხნის საამქრო	198	1350	200	94500	96500
	ზაჰესის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა	210	10000	3000ლ 1620	231000ლ 124866	234000ლ 126486
2	სოფ. ძეგვი					
	სოფ. ძეგვის ფერმების ადმინისტრაციული შენობა	#1_90 #2_60 #3_124,4 #4_128,5	5383	77730ლ	80757ლ	158487ლ
	სოფ. ძეგვის ფერმების დამხმარე ნაგებობა	#1_847,4 #_70,8	4620	16500ლ	69300ლ	85800ლ
	სოფ. ძეგვის ყოფილი საყოფაცხოვრებოს შენობა	71	151	10240	3775	14015
3	სოფ. წილკანი					
	სოფ. წილკანში სელექციის დასახლებაში მდებარე საწყობის შენობა	460,73	1997	35634ლ 20480	18971ლ 10903	54605ლ 31383
4	სოფ. საგურამო					
	სოფ. საგურამოში მდებარე შენობა-ნაგებობა	120	120	1000ლ 590	3600ლ 2140	4600ლ 2730
	სოფ. საგურამოში მდებარე ყოფ. ნავთობისა და გაზის კორპორაციის მაღაზია	48,1	69	–	–	–
5	სოფ. გალავანი					
	წინამძღვრიაანთკარის მაღაზია	81,82	401	–	–	–
	გალავნის დაუმთავრებელი სავაჭრო ცენტრი	–	650	–	–	–
	გალავნის დაუმთავრებელი შენობა	დაუმთავრებელი	3287	4200ლ 2472	31227ლ 18370	35500ლ 20882
6	სოფ. ვაზიანი					
	სოფ.ვაზიანის მაღაზია	391,4	2100	–	–	–
7	სოფ. წეროვანი					

	წეროვნის ტერიტორიაზე არსებული ავტოფარეხი	334	1090	33400ლ 20000	32700ლ 20000	66100 ლ 40000
8	სოფ. ქსანი					
	ქსნის მაღაზია	145	801	_	_	_
9	სოფ. ნაოზა					
	ნაოზის მაღაზია	59,8	272	_	_	_
	სოფ. ცხვარიჭამია					
10	სოფ. ცხვარიჭამიის მაღაზია	125	168	_	_	_
	მუხრანი					
11	სოფ. მუხრანში მდებარე შენობა და მიწა	_	220	6000ლ 3570	2090ლ 1245	8090 ლ 4815
	შენობა-ნაგებობა პატარა ქანდაში	35	450	1750ლ	8100ლ	9850 ლ

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის პასპორტი

რაც შეეხება **სახელმწიფო საკუთრებაში** არსებულ **სასოფლო-სამეურნეო მიწებს** მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მათი ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ:

1. სოფ. ქსოვრისი – 59,13 ჰა;
2. სოფ. მუხრანი _ 13,22 ჰა;
3. სოფ. ნავდარაანთკარი _ 10,652 ჰა;
4. სოფ. საგურამო _ 7.4 ჰა;
5. სოფ. ქსანი _ 102,58 ჰა;
6. სოფ. წილკანი _ 12,22 ჰა;
7. სოფ. მსხალდიდი _ 0,14 ჰა;
8. სოფ. ცხვარიჭამია _ 0,108 ჰა;
9. სოფ. ზაქარო _ 0,06 ჰა;
10. სოფ. ნატახტარი _ 3,9 ჰა;
11. სოფ. ძალისი _ 0,0075 ჰა;
12. სოფ. წეროვანი _ 1,548 ჰა;
13. სოფ. მისაქციელი _ 0,47 ჰა;
14. სოფ. აღდგომლიაანთკარი _ 5,0 ჰა;
15. სოფ. ლისი _ 2,54 ჰა;
16. სოფ. ჩარდახი _ 1,0 ჰა;
17. სოფ. ბიწმენდი _ 0,066 ჰა;

სულ _ 220 ჰა.

2.9.2. ადგილობრივი ქონება

როგორც ზემოთ აღინიშნა, თვითმმართველობებისთვის ქონების გადაცემის პროცესი რამდენიმე წლის წინ დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს, ცხრილში №26-ში მოცემულია მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ქონების სახეობები (ინვენტარი, მიწა), რომელიც მუნიციპალური საკუთრებაა:

ცხრილი №26. ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადმოცემული ინვენტარი 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

#	ობიექტის დასახელება	თანხა	ფართი კვ.მ.	ცვეთის პროცენტი	წინა წლებში დარიცხული ცვეთა	დარიცხული ცვეთა	სულ დარიცხული ცვეთა	ნარჩენი ღირებულება	შენიშვნა
1	ლისის ადმინისტრაციული შენობის მიწა	1846,8	243					1846,8	ძირით.
2	წეროვანი, არასაცხოვრებელი ფართი	1043	165	1		10,43	10,43	1032,57	დამატ.
3	წეროვნის ს/ს მიწა	10875,13	1394248					10875,13	დამატ.
4	გალავნის ს/ს მიწა	1560	200000					1560	დამატ.
5	ნავდარაანთკარის ს/ს მიწა	3538,8	453693					3538,8	დამატ.
6	მცხეთა, თაყაიშვილის ქ. შენობა-ნაგებობა	500	139,4	1		5	5	495	დამატ.
7	მცხეთა, აღმაშენებლის ქ. №65 საცხოვრებელი ფართი	1555,75	29,29	1,2		18,67	18,669	1537,081	დამატ.
8	ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის								დამატ.
	ა) დახლი მაგიდა	620		10		62	62	558	
	ბ) მონიტორი	661,04		20		132,2	132,208	528,83	
	გ) სისტემური ბლოკი	1084		20		216,8	216,8	867,20	
	დ) კონდიციონერი	565		10		56,5	56,5	508,50	
9	მცხეთა, სამხედრო ქ №75, მიწა	6759,3	275,89					6759,30	დამატ.
10	სელექციის დასახლება, კორპუსი 2 ბინა (2,3,6)	1769,04	272,16	1,2		21,23	21,2285	1747,812	დამატ.
	სელექციის დასახლება, კორპუსი 3 ბინა (4,5,6,7,8)	1673,53	288,54	1,2		20,08	20,0824	1653,448	დამატ.
11	მილები: 300 მმ-იანი	20157,5	847,25	2		403,2	403,15	19754,35	დამატ.
	400 მმ-იანი	909,25	25	2		18,19	18,185	891,065	
	700 მმ-იანი	176054	2199,56	2		3521	3521,08	172532,9	

	800 მმ-იანი	33999	528	2		680	679,98	33319,02	
12	მცხეთა, მუხრანის ქ. №17 არას/ს მიწა	9728	256					9728	დამატ.
13	ლისის მილები: 76 მმ-იანი	4022	865	2		80,44	80,44	3941,56	დამატ.
	89 მმ-იანი	1015	188	2		20,3	20,3	994,7	
14	ზაჰესის არას/ს მიწა	2997796	122359					2997796	დამატ.
	მცხეთის არას/ს მიწა	11144370	371479					11144370	დამატ.
15	ნატახტრის ს/ს მიწა	71,59	9178					71,59	დამატ.
	მისაქციელის ს/ს მიწა	143,25	18366					143,25	დამატ.
	ნაოზის ს/ს მიწა	333,65	42775					333,65	დამატ.
16	მცხეთა, არმაზის ბაგა-ბაღი	9058	477,9	1		90,58	90,58	8967,42	დამატ.
	მცხეთა, არმაზის ბაღის არას/ს მიწა	24696	1008					24696	დამატ.
	საგურამოს მილიციის შენობა	38570		10		3857	3857	34713	დამატ.
	საგურამოს მილიციის არას/ს მიწა	2766,4	364					2766,4	დამატ.
17	ახალდაბის არას/ს მიწა	3325000	350000					3325000	დამატ.
18	ქსნის ადმინისტრაციული შენობა	420000	792	1,2		5040	5040	414960	ძირით.
	ქსნის ადმინისტრაციულ შენობაზე დამაგრებული არას/ს მიწა	36639,6	4821					36639,6	ძირით.
	მცხეთა, აღმაშენებლის ქ. მერიის შენობა	85500	171	1,2		1026	1026	84474	ძირით.
	ქ. მცხეთის მერიის შენობაზე დამაგრებული არას/ს მიწა	7170	239					7170	ძირით.
19	ს. მუხრანში 500მ. 420მმ. მილი	20000	500	2		400	400	19600	
	შპს ,,აქსისი”-ს სამსხვრევებთან 1200 მმ. მილი	6500	50	2		130	130	6370	
	სამხიდებთან 400 მმ. მილი	87500	2500	2		1750	1750	85750	
	ს. მუხრანში 300 მმ. მილი	42000	1500	2		840	840	41160	
	,,ვაზი - 2002”-ს ტერიტორიაზე 220 მმ. მილი	120000	6000	2		2400	2400	117600	
	ვაზიანის ტერიტორიაზე 200 მმ. მილი	2000	100	2		40	40	1960	

	400 მმ. მილი	28000	800	2		560	560	27440	
	ქსოვრისში 800 მმ. მილი	135000	1500	2		2700	2700	132300	
	300 მმ. მილი	47600	1700	2		952	952	46648	
	ლისში 300 მმ. მილი	84000	3000	2		1680	1680	82320	
	ძეგვში 250 მმ. მილი	50000	2000	2		1000	1000	49000	
	ძეგვში 250 მმ. მილი	32500	1300	2		650	650	31850	
	ქსანში 300 მმ. მილი	25200	900	2		504	504	24696	
	ნიჩბისში 300 მმ. მილი	5600	200	2		112	112	5488	
	220 მმ. მილი	5000	250	2		100	100	4900	
	ვაზიანში 300 მმ. მილი	1960	70	2		39,2	39,2	1920,8	
	სასხორში 300 მმ. მილი	7000	250	2		140	140	6860	
	220 მმ. მილი	100000	5000	2		2000	2000	98000	
	ძალისში 700 მმ. მილი	320000	4000	2		6400	6400	313600	
	ცხვარიჭამიისა და ბურიანის 300 მმ. მილი	840	30	2		16,8	16,8	823,20	
	ზაქაროში 720 მმ. მილი	89250	1050	2		1785	1785	87465	
	ზაქაროდან ნავდარაანთკარამდე 720 მმ. მილი	119000	1400	2		2380	2380	116620	
	კოტორაანთკარიდან ბურიანამდე 325 მმ. მილი	21000	700	2		420	420	20580	
	წ/კარში წყალსაქაჩი სადგურიდან 720 მმ. მილი	153000	1800	2		3060	3060	149940	
	წ/კარში მეურნეობ. ა/პარკის ტერ. 800 მმ. მილი	6300	70	2		126	126	6174	
	წ/კარში 300 მმ. მილი	50400	1800	2		1008	1008	49392	
	წ/კარში 250 მმ. მილი	22500	900	2		450	450	22050	
	ბიწმენდში სარწყავი ლითონის მილი 500 მმ.	120000	2000	3,3		3960	3960	116040	
	ბიწმენდში სარწყავი ლითონის მილი 720 მმ.	102000	1200	3,3		3366	3366	98634	
	ბიწმენდის ტერიტორიაზე 500 მმ. მილი	54000	900	2		1080	1080	52920	
	ჩარდახის ტერიტორიაზე 320 მმ. მილი	45000	1500	2		900	900	44100	

	ციხისძირის ტერიტორიაზე 300 მმ. მილი	84000	3000	2		1680	1680	82320	
	წყალკანალის ტერიტორიაზე 219 მმ. მილი	28000	1400	2		560	560	27440	
	წყალკანალის ტერიტორიაზე 300 მმ. მილი	8400	300	2		168	168	8232	
20	წ/კარში მდებარე მილი	50604	1600	2		1012	1012,08	49591,92	დამატ.
21	საწადნეო მილსადენი 250 მმ.								დამატ.
22	საწადნეო მილსადენი 250 მმ.		1600						დამატ.
23	საწადნეო მილსადენი 800 მმ.		1800						დამატ.
24	სამხედრო გზის მე-15 კმ. საწადნეო მილსადენი 325 მმ.	110012	1700	2		2200	2200,24	107811,8	ძირით.
25	სამხედრო გზის მე-15 კმ. საწადნეო მილსადენი 630 მმ.		700						დამატ.
	კონტეინერი 1.1 კუბ.მ. (25 ც)	17900		20		3580	3580	14320	დამატ.
	ელ.გენერატორი 200კვტ.	3348,5		10		№№	334,85	3013,65	დამატ.
	ქსნის ს\ს მიწა	58,96	7559					58,96	დამატ.
	ლისის ადმინისტრაციული შენობის მიწა								დამატ.

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

ცხრილი №27-ში მოცემულია მცხეთის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი მიწის (როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების) ფართობები.

ცხრილი №27 სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ჩამონათვალი

№	ტერიტორიული ორგანო	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (ჰა)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (ჰა)
1	მცხეთა	31.06	25.4
2	მუხათგვერდი		0.4
3	ზაჰესი		23.6
4	წეროვანი	148.26	1.2
5	სელექცია		0.1
6	მუხრანი		5.9
7	საგურამო	2	0.9
8	მისაქციელი	1.3	1.6
9	ნავაზი	3.6	5
10	ნატახტარი	3.6	2.1
11	გალავანი	0.061	
12	ქსანი	0.76	0.65
13	ციხისძირი		0.05
14	ქსოვრისი		2
15	ძეგვი		0.11
16	ჩარდახი	0.1	
17	ახალდაბა		35

წყარო: მცხეთის მუნიციპალიტეტის პასპორტი.

3 . მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები

3.1 გამოკითხვის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანი იყო მცხეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებისა და საჭიროებების გამოვლენა.

კვლევის კონკრეტულ ამოცანებს წარმოადგენდა:

- მუნიციპალიტეტის ძირითადი პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება;
- ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება;
- მუნიციპალიტეტის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით მოსახლეობის პრიორიტეტების დადგენა;
- მუნიციპალიტეტის სოციალ-ეკონომიკური პროფილის შესწავლა.

მეთოდი და ინსტრუმენტი

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა კვლევის ოპტიმალური დიზაინი, რომელიც გულისხმობს რაოდენობრივი კვლევის ჩატარებას მუნიციპალიტეტის ზრდასრულ მოსახლეობასთან. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში მონაცემები შეგროვდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით.

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კვლევის მიზნების გათვალისწინებით შექმნილი კითხვარი.

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდა ველის ხარისხის კონტროლი. მოცემული კვლევის ფარგლებში კონტროლს მიენიჭა ინტერვიუერთა მიერ შესრულებული სამუშაოს სიზუსტის დადგენა და ხარვეზების გამოვლენა. საველე სამუშაოების დამთავრების შემდგომ მიღებული შედეგები შეტანილ და დამუშავებულ იქნა სპეციალურ სტატისტიკურ პროგრამაში (SPSS). შედეგების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე მომზადდა კვლევის საბოლოო ანგარიში.

სამიზნე ჯგუფი და შერჩევის არეალი

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა მცხეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ზრდასრული დევნილი და ადგილობრივი მოსახლეობა.

შერჩევის ბაზა – 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან მიღებული მუნიციპალიტეტში ჩასახლებულ დევნილთა ოფიციალური მონაცემები.

შერჩევის მეთოდი –არაპროპორციული სტრატიფიცირებული შერჩევა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 927-მა რესპონდენტმა, მათ შორის ქალაქში გამოკითხული იქნა 158 რესპონდენტი, ხოლო

სოფლად _ 769. საკვლევი ერთობლიობიდან 66% წარმოადგენდა დევნილს, ხოლო 34% ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას (იხ. დიაგრამა#4)

დიაგრამა №4. მცხეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული მოსახლეობა



კვლევის ეტაპები და მიმდინარეობა

კვლევა განხორციელდა 2010 წლის ივნისა და ივლისში. კვლევის ეტაპები და განხორციელების ვადები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში №28;

ცხრილი №28 კვლევის ეტაპები და განხორციელების ვადები

№	კვლევის ეტაპები	ივნის–ივლისი				
1.	კვლევის ინსტრუმენტის შექმნა	■				
2.	საველე სამუშაოები		■			
3.	მონაცემთა შეყვანა			■		
4.	მონაცემთა დამუშავება				■	
5.	კვლევის საბოლოო ანგარიშის მომზადება					■

3.2 ძირითადი მიგნებები

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანს მუნიციპალიტეტის პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლა წარმოადგენდა. კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მწვავედ მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემა დგას. ეს საკითხი რესპონდენტთა 59,2%-მა სპონტანურად დაასახელა.

მოსახლეობისათვის, ასევე მწვავედ დგას გზების რეაბილიტაციის პრობლემა - რესპონდენტების (7,7%) აზრით მათ მუნიციპალიტეტში ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სწორედ გაუმართავი, ამორტიზებული გზებია. მუნიციპალიტეტში ასევე მწვავედ დგას ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების პრობლემა, სწორედ რესპონდენტთა 5,6%-ის აზრით მუნიციპალიტეტში საკმაოდ დაბალია სამედიცინო მომსახურების ხარისხი. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში გასართობი ცენტრების (კინო, თეატრი და ა.შ.) არარსებობას, განუვითარებელ ბიზნესს, სტაბიულურ გაზმომარაგებას და ტრანსპორტის პრობლემებს, მართალია აღნიშნულ საკითხებს რესპონდენტთა მხოლოდ 6%-ზე ნაკლები ასახელებს, მაგრამ ზოგადად პრობლემებს შორის, ეს საკითხები საკმაოდ აქტუალურია (იხ. დიაგრამა №5).

დიაგრამა №5. მუნიციპალიტეტის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები



რესპონდენტების აზრით მათ დასახლებაში (უბანში) არსებული სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა: სასმელი წყლით მომარაგება (24,6%), სოციალური დახმარება (22,5%) და გზების რეაბილიტაცია (19,5%), რომელიც მათივე აზრით უნდა მოაგვაროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ. მწვავედ დგას ასევე დასუფთავების (7,7%), გარე განათების (6,6%), გაზით მომარაგების (6,3%) და კულტურული ღონისძიებების არარსებობის საკითხები. რესპონდენტების მიერ დასახელებული პრობლემების ანალიზისას ჩანს, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ძირითადად, საყოფაცხოვრებო საკითხები აწუხებთ. რაც შეეხება სასმელი წყლით მომარაგების, სოციალური დახმარების და გზების რეაბილიტაციის საკითხებს აშკარა პრიორიტეტია როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობისათვის (იხ. დიაგრამა №6).

დიაგრამა №6. დასახლების (უბნის) სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც შესაძლებელია გადაჭრას ადგილობრივმა ხელისუფლებამ:



საინტერესოა, რესპონდენტთა აზრი მუნიციპალიტეტის ყველაზე მნიშვნელოვან ძლიერ მხარეებზე, დამახასიათებელ - გამორჩეულ ნიშანზე. უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა ნაწილს გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და შემოიფარგლა ფრაზით ,,ჩემი სახლი აქ არის" ან ,,აქ დავიბადე და გავიზარდე" – ასეთია გამოკითხულთა 10%-ზე მეტის პასუხი. ძლიერ მხარედ, რესპონდენტები ასევე ასახელებენ მოხერხებულ გეოგრაფიულ მდებარეობას (43,7%), კულტურულ მემკვიდრეობას/ტრადიციებს (24,6%) და კარგ კლიმატურ პირობებს (7%). საინტერესოა, რომ ტურიზმის პოტენციალი არ აღმოჩნდა ძლიერ მხარეებს შორის. როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ხედავს ტურიზმის განვითარების შემთხვევაში საკუთარი შემოსავლების ზრდის პოტენციალს. (იხ. დიაგრამა №7)

დიაგრამა №7. მცხეთის მუნიციპალიტეტის სამი მნიშვნელოვანი ძლიერი მხარე:



რესპონდენტები ბიზნესის განვითარებისთვის მცხეთის მუნიციპალიტეტში ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად მოსახლეობაში თანხების უქონლობას ასახელებენ, ასეთია გამოკითხულთა თითქმის 70%-ის აზრი (იხ. დიაგრამა №8). ასევე მიზეზებს შორის დასახელდა დაბალი ბიზნესგანათლება, საკრედიტო ინსტიტუტების სიმცირე, საგადასახადო კანონმდებლობა და ბევრი მაკონტროლებელის არსებობა. რესპონდენტები თვლიან, რომ ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: ინვესტიციების მოზიდვა, ბიზნესინტერესების გათვალისწინება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და მცირე კრედიტების გაცემა ბიზნესისათვის. (იხ.დიაგრამა№8)

დიაგრამა №8. მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორები



სწორედ, კითხვაზე ,,თქვენ რომ მუნიციპალიტეტის გამგებელი იყოთ, რომელ სამ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებას განახორციელებდით მუნიციპალიტეტში" რესპონდენტების 45% ფიქრობს რომ, ინვესტიციებს მოიზიდავდა, 13,1% იზრუნებდა სამოქალაქო ინტერესების დაცვაზე, 11,8% მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურას მოაწესრიგებდა, 8,4% კი მოიძიებდა დამატებით ფიანსებს ბიუჯეტში, ხოლო 6,3% გასცემდა მცირე კრედიტებს ბიზნესისათვის. რაც შეეხება დასახლების (უბნის) ყველაზე მნიშვნელოვან სამ პრობლემას.

დიაგრამა №9. დასახლების (უბნის) სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც შესაძლებელია გადაჭრას ადგილობრივმა ხელისუფლებამ:



რაც შეეხება, მოქალაქეთა ინფორმირებულობას ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებებთან დაკავშირებით, მცხეთის მუნიციპალიტეტში საკმაოდ დაბალია. რესპონდენტთა 45,2% საერთოდ ვერ ასახელებს ადგილობრივი ხელისუფლებისათვის კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებებს, ხოლო რესპონდენტების 25% მუნიციპალიტეტს სხვა ვალდებულებებს აკუთვნებს (იხ. დიაგრამა №10).

დიაგრამა №10. მოქალაქეთა ინფორმირებულობა თვითმმართველობის ვალდებულებებთან დაკავშირებით:



კვლევისას, ასევე დავინტერესდით, თუ კომუნიკაციის რომელ საშუალებებს ანიჭებს უპირატესობას ადგილობრივი მოსახლეობა. კითხვაზე საინფორმაციო წყაროებთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოსახლეობა ინფორმაციით თავისი საქმიანობისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, გამოკითხულთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს საჯარო შეხვედრებს –32,5% (იხ. დიაგრამა №11), შემდეგ მოდის მამასახლისის/სოფლის რწმუნებულის მეშვეობით – 17,4%, სატელევიზიო გადაცემებით _ 15,2% და პრესის მეშვეობით 13,1%. კომუნიკაციის ისეთი საშუალებები, როგორიცაა რადიო, საინფორმაციო ცენტრები, ბროშურები, ინტერნეტი და სხვა, მოსახლეობის მოწონებას ნაკლებად იმსახურებს.

დიაგრამა №11. ადგილობრივმა თვითმმართველობამ როგორ უნდა გაავრცელოს ინფორმაცია თავისი საქმიანობისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ:



შენიშვნა: აღნიშნული გამოკითვა განხორციელებულია ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ.

4 . პროგრამის პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

4.1 პრიორიტეტების შერჩევის კრიტერიუმები

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაანალიზების შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი პრიორიტეტული პრობლემები, რომლებიც საჭიროებენ პირველ რიგში მოგვარებას. აღნიშნული პრიორიტეტული პრობლემებია:

- ეფექტური წყალმომარაგების სისტემის ორგანიზება;
- მოსახლეობის კეთილდღეობისკენ მიმართული სოციალური პროგრამების (მათ შორის ერთჯერადი სოციალური დახმარებების) განხორციელება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;
- დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება;

პრობლემატური პრიორიტეტების შერჩევის საფუძველი და არგუმენტები არის შემდეგი კრიტერიუმები:

- მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები;
- თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები;
- რეგიონული განვითარების სტრატეგიასთან შესაბამისობა;
- ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მიზნებთან შესაბამისობა.

I კრიტერიუმი

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების ანალიზისას ვნახეთ, რომ ყველაზე მწვავე პრობლემებად დასახელებულია: სასმელი წყლით მომარაგება (24,6%), სოციალური დახმარება (22,5%) და გაუმართავი-ამორტიზებული შიდა გზები (19,5%), რომელიც მათივე აზრით უნდა მოაგვაროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ. მწვავედ დგას ასევე დასუფთავების (7,7%), გარე განათების (6,6%), გაზით მომარაგების (6,3%) საკითხები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაზმომარაგების საკითხების მოგვარება არ შედის ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებში, ამდენად ის არ შეიძლება თვითმმართველობის მოსაგვარებელ პრიორიტეტთა ნუსხაში შევიტანოთ. რესპონდენტების მიერ დასახელებული პრობლემების ანალიზისას ჩანს, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ძირითადად, საყოფაცხოვრებო პრობლემები აწუხებთ. რაც შეეხება სასმელი წყლით მომარაგებას, სოციალურ დახმარებას, გზების რეაბილიტაციას და დასუფთავების საკითხებს აშკარა პრიორიტეტია როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობისათვის.

II კრიტერიუმი

თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები;

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' ევროპული ქარტიის საფუძველზე მიღებულია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონი. ამ

კანონით, კერძოდ მისი 16–ე მუხლით განსაზღვრულია თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები, რომლებსაც ის ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ზემოთ ხსენებული კანონის 16–ე მუხლის მ–2 პუნქტის, ზ), მ), ნ), რ), ს) ქვეპუნქტების მიხედვით, ნებისმიერი თვითმმართველი ტერიტორიული ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს შემდეგი საკითხების (ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვის) ორგანიზება:

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;
- დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება;
- ეფექტური წყალმომარაგების სისტემის ორგანიზება;
- მოსახლეობის კეთილდღეობისკენ მიმართული სოციალური პროგრამების (მათ შორის ერთჯერადი სოციალური დახმარებების) განხორციელება.

III კრიტერიუმი

საქართველოს რეგიონული განვითარების 2010–2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიასთან შესაბამისობა;

საქართველოს მთავრობის, 2010 წლის 25 ივნისის, N172 დადგენილებით განსაზღვრულია საქართველოს რეგიონული განვითარების 2010–2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია. ამ დოკუმენტის მე–3 თავის: ,,მუნიციპალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება“ მიხედვით, პრიორიტეტულ ამოცანებს წარმოადგენს:

- წყალმომარაგების სექტორის განვითარება;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
- სატრანსპორტო სისტემის განვითარება (მათ შორის ადგილობრივი მნიშვნელობის გზები).

IV კრიტერიუმი

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მიზნებთან შესაბამისობა;

2009 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია ,,ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი”, სადაც მოცემულია სახელმწიფოს განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგია 2010–2013 წლებისთვის. ამ დოკუმენტის, კერძოდ სხვადასხვა სამინისტროს სტრატეგიულ გეგმათა ანალიზის საფუძველზე იკვეთება შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- ინფრასტრუქტურის, მათ **შორის სატრანსპორტო და წყალმომარაგების სისტემების განვითარება;**
- ეკოლოგიური პრობლემები, მათ **შორის დასუფთავებასა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები;**
- მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებული პროგრამები, სადაც ნაგულისხმევია **ერთჯერადი სოციალური დახმარებებიც.**

აღნიშნული არგუმენტები (კრიტერიუმები) იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ მუნიციპალიტეტის ძირითადი პრობლემატური საკითხების მოგვარება პრიორიტეტულია როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლებისათვის.

4.2 პრობლემების ანალიზი შერჩეული სფეროების (პრიორიტეტების) მიხედვით

4.2.1. წყალმომარაგება

4.2.1.1. ძირითადი პრობლემის აღწერა

თვითმმართველობაში მცხოვრები მოსახლეობა მის წინაშე მდგარ ძირითად პრობლემად სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდების ხარვეზს ასახელებს.

აღნიშნული პრობლემის მოგვარება 2008 წლამდე წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას. კერძოდ, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის მე-16 მუხლის ,,მ" პუნქტის თანახმად წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვების ორგანიზება ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. წყლის მიწოდების ტარიფების დადგენაც ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხორციელდება.

2008 წლიდან დაიწყო წყლის სფეროს დარეგულირება, რის შედეგადაც თვითმმართველობების ექსკლუზიური უფლებამოსილებებიდან ამოღებულ იქნა წყლით მომარაგებისა და შესაბამისად ტარიფის დადგენის უფლებამოსილება. წყლის მიწოდებაზე პასუხისმგებელი გახდა ახლადშექმნილი სახელმწიფო შპს ,,დასავლეთის წყალი" და შპს ,,აღმოსავლეთის წყალი", ხოლო სატარიფო რეგულირება საქართველოს ენერგეტიკისა და წყლის მარეგულირებელი კომისიის უფლებამოსილებად განისაზღვრა.

2008 წლის დასაწყისიდან თვითმმართველობების მიერ წყლის მიმწოდებელი კომპანიებისათვის ფინანსური სუბსიდიის გაწევა არამიზნობრივ ხარჯად აღირიცხება. აღნიშნულმა კომპანიამ პირველ რიგში დაიწყო შესაბამისი ქონების საკუთრებაში აღება და მის ბალანსზე ასახვა. ამ პროცესში საკმაოდ დიდი პრობლემები წარმოიშვა, რადგან წყლის სისტემები მხოლოდ სახელმწიფო შპს-ს საკუთრებაში არ იყო და ამ სისტემების რეაბილიტაციისათვის თვითმმართველობებს საკმაოდ სოლიდური თანხები ჰქონდათ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გახარჯული, ხოლო შექმნილი ქონება ადგილობრივ საკუთრებას წარმოადგენდა.

დღემდე არსებობს პრობლემები ქონების გამიჯვნასთან დაკავშირებით. თვითმმართველობების ნაწილი თანახმაა აღნიშნული ქონება შპს ,,საქართველოს წყალს" უსასყიდლოდ გადასცეს, თუმცა ,,ადგილობრივი ქონების შესახებ" კანონის თანახმად იკრძალება ადგილობრივი ქონების სახელმწიფო შპს-ზე უსასყიდლო ფორმით საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემა. თვითმმართველობის ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მათ მიერ შექმნილი ქონების უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად სახელმწიფო შპს-ზე გადაცემა თვითმმართველობის ქონებრივი ინტერესების შელახვაა და აღნიშნულ ქონებაში შპს ,,საქართველოს წყალმა" ადგილობრივ თვითმმართველობას თანხა უნდა გადაუხადოს.

პრობლემას წარმოადგენს თვიმმართველობის სოფლებში სასმელი და საირიგაციო წყლის მიწოდების საკითხი. აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულებში გაურკვეველია სასმელი წყლის და კანალიზაციის სისტემების საკუთრების ფორმა. უმეტეს შემთხვევებში ეს ქონება

არავის ბალანსზე არ არის აყვანილი. სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია წლების განმავლობაში ადგილობრივი ხელისუფლების სახსრებით და მოსახლეობის მიერ აკრეფილი თანხებით ხორციელდებოდა. თუმცა აღნიშნული ნაგებობები სახელმწიფო საკურებაში არსებულ მიწაზე არის აგებული.

შპს ,,საქართველოს წყალი" არ ახდენს სოფლად არსებული წყლის სისტემის საკუთარ ბალანსზე აყვანას და აღნიშნულ ტერიტორიებზე წყლის მიწოდების უზრუნველყოფას.

გაუგებარია თუ ვის პრეროგატივას წარმოადგენს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წყლით მომარაგება. ერთის მხრივ თვითმმართველობების უფლებამოსილებებიდან ამოღებულ იქნა მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა, მეორე მხრივ კი შპს ,,საქართველოს წყალი" არ ახდენს სოფლად არსებული წყლის სისტემის საკუთარ ბალანსზე აყვანას და მოსახლეობის წყლით მომარაგებას.

პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე თვითმმართველობებს უწევთ წყლის პრობლემის მოგვარებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების გაწევა, რაც შესაძლებელია თვითმმართველობის ,,ნებაყოფლობით" უფლებამოსილებად იქნეს განხილული.

4.2.1.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები

ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები შესაძლებელია დავყოთ 3 ძირითად ჯგუფად:

1) არასაკმარისი ფინანსები
2) ადგილობრივი ხელისუფლების არასათანადო მენეჯმენტი
3) საკანონმდებლო ბაზაში არსებული პრობლემები

არასაკმარისი ფინანსები -

- როგორც 2.8. თავში აღვნიშნეთ ადგილობრივი ხელისუფლების დამოუკიდებლად განსაკარგი შემოსავლები ძირითადად მიმდინარე ხარჯების დაფინანსებას ხმარდება და არ რჩება თანხები კაპიტალური დანიშნულების პროექტების განხორციელებისათვის.
- თვითმმართველობების უმეტესობაში არაფინანსური აქტივების ზრდის დაფინანსება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ხორციელდება.
- წყლის მიწოდების საფასურის ამოღება სოფლის მოსახლეობიდან თვითმმართველობის მიერ შეუძლებელია. წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე გაწეული თანხების მოსახლეობიდან საფასურის სახით კომპენსირება არ ხდება.

ადგილობრივი ხელისუფლების არასათანადო მენეჯმენტი -

- თვითმმართველობაში არსებული სამსახურები არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას სოფლად არსებული წყლის სისტემის ხარვეზების შესახებ. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია ამ საკითხის თვითმმართველობების უფლებამოსილებებიდან ამოღებით.
- გამგეობებში წყლის სისტემების მცოდნე კვალიფიციური კადრების მოძიება საკმაოდ რთულია, რაც გამოწვეულია თვითმმართველობების საჯარო მოხელეების დაბალი სახელფასო ბადით.

- სამსახურებში არსებული ინფორმაცია მოძველებულია და მისი განახლება საკმაოდ დიდ რესურსებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად თვითმმართველობებს არ გააჩნიათ ზუსტი ინფორმაცია პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების შესახებ.
- არ არსებობს წყლის სისტემის რეაბილიტაციის დროს გამოსაყენებელი სახელმწიფო სტანდარტი ან რეგულაცია.

საკანონმდებლო ბაზაში არსებული პრობლემები -

- საქართველოს კანონმდებლობით არ არის ზუსტად დარეგულირებული თუ ვის კომპეტენციას წარმოადგენს სოფლად არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაცია და მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა.
- წლების განმავლობაში ვერ მოხდა ადგილობრივი წყლის რესურსის განსაზღვრა.
- საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებული თუ როგორ უნდა მოხდეს ქალაქად, მუნიციპალურ საკუთრებაში, არსებული წყლის სისტემის შპს ,,საქართველოს წყალზე" გადაცემა.
- ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხდება ჭაბურღილების და რეზერვუარის მოწყობის დაფინანსება, ხოლო მოსახლეობის მიერ წყლის ამოსაქაჩად საჭირო ელ. ენერგიის ღირებულების გადახდა. იურიდიულად გაურკვეველია თუ ვინ ითვლება წყლის მიმწოდებლად და საჭიროებს თუ არა აღნიშნული საქმიანობა ნებართვას.

4.2.1.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე

აღნიშნული პრობლემით ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად წუხდება ბიზნესსექტორი და ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანო (როგორც მომხმარებელი).

უარყოფითი გავლენა:

- ***ანტისანიტარია და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა*** - წყლის არასაკმარის რაოდენობითა და არასათანადო ხარისხით მიწოდება ზრდის მოსახლეობაში ეპიდემიის საფრთხეს. აღნიშნული კი იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას.
- ***სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმოების ხელისშემშლელი ფაქტორი*** - სარწყავი წყლის არასათანადო რაოდენობით მიწოდება მოსავლის მიღების საფრთხეს ქმნის.
- ***ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორი*** - ტურისტული ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ჰიგიენური საკითხების მოგვარება, რომელიც წყლის სისტემის გამართვის გარეშე შეუძლებელია.

4.2.2. ერთჯერადი სოციალური დახმარებები

4.2.2.1. ძირითადი პრობლემის აღწერა

საქართველოში სოციალურ პროგრამებზე (მათ შორის ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამებზე) პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ცენტრალურ ხელისუფლებას, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებს. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სოციალურ პროგრამებს ძირითადად ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო თავისი ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სოციალური პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი სამსახურები.

სოციალური დახმარებაა – ნებისმიერი სახის, ფულადი ან არაფულადი ხასიათის სარგებელი, რომელიც განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირისათვის, ღატაკი ოჯახისათვის ან უსახლკარო პირისათვის;

სოციალური დახმარებების პროგრამებს საქართველოში არეგულირებს ეროვნული კანონმდებლობა. მათ შორის საქართველოს კანონი ,,სოციალურ დახმარებათა შესახებ“.

სოციალური დახმარების დაფინანსების წყაროებია.

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები;
- ბენეფიციარის ან მისი წარმომადგენლის მიერ გადახდილი თანხა;
- შემოწირულებები;
- სხვა წყაროები, რომლებიც დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ფულადი სოციალური დახმარების დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილი არიან, ამ კანონით განსაზღვრული სოციალური დახმარების სახეების შესაბამისად, დამატებით დააფინანსონ თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე ამავე კანონით განსაზღვრული სოციალური დახმარებები, რაშიც მოიაზრება მათ შორის ერთჯერადი სოციალური დახმარებები.

,,ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ” ორგანული კანონის თანახმად თვითმმართველობა ვალდებულია საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს სხვადასხვა სოციალური პროგრამები (მუხლი 16.) და აქვე მოიაზრება ერთჯერადი სოციალური დახმარებები.

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისას გამოვლენილი ერთ-ერთი პრიორიტეტული პრობლემაა **ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამების არაეფექტურობა და გაუმჭვირვალობა.**

ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამები ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: 100 და მეტი წლის მოხუცთა დახმარება, ომის ვეტერანთა დაკრძალვა, უპატრონო ბავშვების დახმარება, ლტოლვილთა დაკრძალვა, სადღესასწაულო დღეების დახმარება, მზრუნველობას მოკლებულთა უფასო სასადილო და ა.შ. აღნიშნული პროგრამები მეტწილად

ერთჯერად ფულად დახმარებას წარმოადგენს და ვერ ახდენს მდგრად ზემოქმედებას/ეფექტს მოწყვლად ფენებზე. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტის მდგომარეობიდან გამომდინარე ეს დახმარებები სრულად ვერ მოიცავს ყველა სოციალურად დაუცველს.

მუნიციპალიტეტის 2010 წლის ბიუჯეტებში არ არის ასახული ერთჯერადი სოციალური დახმარებისათვის გასაწევი სავარაუდო ხარჯები, რაც მიანიშნებს ბიუჯეტების გაუმჭვირვალობაზე და საჯარო ფინანსების მოსალოდნელ არაეფექტურ ხარჯვაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებისთვის როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ბიუჯეტებიდან ხდება გარკვეული ხარჯების გაწევა (ბიუჯეტის სარეზერვო ფონდებიდან, ერთი მხრივ ბუნდოვანი რჩება ერთჯერადი სოციალური დახმარებების საჭიროების მქონე ბენეფიციარების შერჩევის მექანიზმები და მეორე მხრივ ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არ არის გამიჯნული თუ ბენეფიციართა რომელ კატეგორიას ეხმარება თითოეული მათგანი. აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე ბენეფიციარის დახმარებას ორივე მხრიდან და გამომდინარე აქედან, ბენეფიციართა ნაწილი ერთჯერადი სოციალური დახმარების მიღმა რჩება. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საჯარო ფინანსების არაეფექტურად ხარჯვას, აღნიშნული პროგრამების ბენეფიციარებთან მიმართებაში სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების გაზრდილ ალბათობას და ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირების უკმაყოფილებას.

4.2.2.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისას გამოვლენილი ერთ-ერთი პრიორიტეტული პრობლემაა **ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამების არაეფექტურობა და გაუმჭვირვალობა.** პრობლემის გაანალიზებისას გამოვლენილ იქნა ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც განაპირობებს აღნიშნული საკითხის აქტუალურობას. პრობლემის გამომწვევი მიზეზები კომპლექსური ხასიათისაა და დაკავშირებულია როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების არაკოორდინირებულ ქმედებებთან. კერძოდ, აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები სამ ძირითად მიმართულებად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. **ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები;**
   - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების სიმწირის გამო ვერ ხორციელდება ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე მოსახლეობის უმეტესი ნაწილის დაკმაყოფილება;
   - საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტში მიემართება მხოლოდ ქონების გადასახადი, რის გამოც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ვერ ხერხდება ერთჯერადი სოციალური საჭიროების მქონე მოსახლეობის პრობლემების რეალური მოგვარება;
   - ერთჯერადი სოციალური პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხები არ არის ასახული მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმაში, რაც შემდგომში ვერ

უზრუნველყოფს ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ბენეფიციარების პრობლემების რეალურად მოგვარებას;

- ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამები მეტწილად ერთჯერად ფულად დახმარებას წარმოადგენს და ვერ ახდენს მდგრად ზემოქმედებას/ეფექტს მოწყვლად ფენებზე.

2. მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები;

- მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს სოციალური აგენტების ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფდა ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირების იდენტიფიცირებას;
- მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს ადგილობრივი სტატისტიკური მონაცემები, რაც ხშირ შემთხვევაში ვერ განაპირობებს რეალურად არსებული სიტუაციის ადეკვატურად ასახვას;
- არ არსებობს მუნიციპალურ დონეზე ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ბენეფიციარებთან მიმართებაში სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების პრევენციას.
- არ არსებობს რაიმე გამიჯვნის მექანიზმი ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს მუნიციპალური განყოფილება ბენეფიციართა რომელ კატეგორიაზეა ორიენტირებული და ადგილობრივი ხელისუფლება რომელზე.

3. საკანონმდებლო საკითხები;

- საკანონმდებლო დონეზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის არ არის გამიჯნული თუ ბენეფიციართა რომელ კატეგორიას ეხმარება ერთჯერადი სოციალური პროგრამებით თითოეული მათგანი;
- მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმებში არ არის ასახული ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებისათვის გასაწევი ხარჯების სავარაუდო მოცულობა.

4.2.2.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე

ზემოთ დასახელებული მიზეზები განაპირობებს მცხეთის მუნიციპალიტეტში ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამების არაეფექტურობას და გაუმჭვირვალობას, რასაც თავის მხრივ არაერთ უარყოფით შედეგამდე მივყავართ. პირველ რიგში ეს პრობლემა ნეგატიურად აისახება მოცემული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალ–ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კერძოდ, ის ძირითადი უარყოფითი შედეგები, რომლებიც გამოწვეულია მცხეთის მუნიციპალიტეტში ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებთან დაკავშირებული პრობლემებით, შემდეგნაირად გამოიყურება:

- მოცემული პროგრამის ბენეფიციართა დიდი უმეტესობა დახმარების გარეშე რჩება;
- სახეზეა ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე უკმაყოფილო მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობა;

- ხშირ შემთხვევაში ერთჯერადი სოციალური დახმარებებისთვის გამოყოფილი თანხები კონკრეტულ ბენეფიციარზე ვერ უზრუნველყოფს მისი პრობლემის რეალურად მოგვარებას;
- ერთჯერადი სოციალური დახმარებების სიმცირე ვერ უზრუნველყოფს ადგილზე სოციალური ფონის გაუმჯობესებას.

4.2.3. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები

4.2.3.1. ძირითადი პრობლემის აღწერა

კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის 2010 წლის კვლევების საფუძველზე ჩანს, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ხარისხი შიდა გზების მდგომარეობა ზოგადად დამაკმაყოფილებელია, მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები, ქვემოთ მოცემულია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით:

- საერთო სიგრძე - 260 კმ.
- ასფალტო - ბეტონით დაფარულია – 98,35 კმ.
- შავი გზატკეცილი – 36,89 კმ.
- ხრეშოვანი გზა _ 119,51 კმ.
- ხიდების რაოდენობა და სიგრძე:
  მთლიანი - 7 /275 ც/გრძ.მ.
  რკინა-ბეტონის - 5/151 ც/გრძ.მ.

- **სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები:**

- გზის სიგრძე - 1.9 კმ.
- მყარი საფარით (ასფალტო-ბეტონი) – 1,9 კმ.
- ცემენტის საფარით - 0 კმ.
- ღორღით დაფარული - 0 კმ.

- **საერთაშორისო მნიშვნელობის გზები მოცემულია**

- გზის სიგრძე - 83,9 კმ.
- მყარი საფარით (ასფალტო-ბეტონი) – 83,9კმ.
- ცემენტო-ბეტონი - 0 კმ.
- ღორღით დაფარული - 0 კმ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ისევე როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში, არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა მხოლოდ თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციაა (საკუთარი უფლებამოსილებაა).
მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შემდგომ მკვეთრად გაიმიჯნა ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები და ადგილობრივი თვითმმართველობის

ბიუჯეტი დამოუკიდებელი გახდა, ადგილობრივ თვითმმართველობებს საქართველოში არც რეფორმამდე და არც რეფორმის შემდგომ რეალურად არ გააჩნიათ საკმარისი საკუთარი ფინანსური სახსრები, რათა საკუთარი უფლებამოსილებანი სრულად შეასრულონ.

4.2.3.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობის ძირითადი გამომწვევი მიზეზები შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. არასაკმარისი ფინანსური რესურსები;
2. საკადრო პრობლემები ადგილებზე;
3. შესაბამისი სტანდარტების არარსებობა;
4. მიმწოდებელთა კვალიფიკაციის არასათანადო დონე.

- ✓ **არასაკმარისი ფინანსები**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთარი შემოსავლების სიმწირის გამო მუნიციპალიტეტი ვერ ახერხებს საკუთარი უფლებამოსილებების (ამ შემთხვევაში კი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა და შენახვა), სრულად განხორციელებას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გზის მშენებლობა და შენახვა ადგილობრივ ინფრასტრუქტურათა შორის, განსახორციელებლად ერთ-ერთი ყველაზე ინვესტიციატევადი რესურსია და შესაბამისად, ეს სფერო ადგილობრივ თვითმმართველობებს არასაკმარისი ფინანსების პირობებში საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევთ.

- ✓ **საკადრო პრობლემები ადგილებზე**

აღნიშნული სფეროს მოუწესრიგებლობის ერთ–ერთი გამომწვევი ფაქტორია კვალიფიციური კადრების სიმცირე ადგილებზე. უმეტესად რეგიონებში ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს არ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის სამშენებლო-საინჟინრო დაპროექტებას უზრუნველყოფდა. სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება ძირითადად ძველი (შემორჩენილი) კადრების პირად გამოცდილებაზეა აგებული.

- ✓ **შესაბამისი სტანდარტების არარსებობა**

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაპროექტებისას არ არსებობს რაიმე თანამედროვე სტანდარტი ან ინსტრუქცია, რითაც შეიძლება გაიზომოს შემდგომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი. თვითმმართველობები უმეტესად ეყრდნობიან იმ ერთეული პიროვნებების გამოცდილებას, რომლებიც ამ სფეროში წლებია მუშაობენ ან უკეთეს შემთხვევაში იყენებენ საბჭოთა კავშირის დროინდელ 1975-85 წლებში დამუშავებულ ე.წ. СНИП -ებს (Строительние нормы и правила). შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ინსტრუქციები საკმაოდ მოძველებულია ტექნიკურად და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

- ✓ **მიმწოდებელთა კვალიფიკაციის არასათანადო დონე**

მომსახურების მიმწოდებელ კომპანიათა ძირითადი ნაწილი, რომელთაც კვალიფიციური კადრები და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გააჩნიათ, ძირითადად დედაქალაქსა და მსხვილ ქალაქებშია დისლოცირებული. აღნიშნული კომპანიები შესასრულებელი სამუშაოს სიმცირის გამო რეგიონებსა და პერიფერიებში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს ნაკლებად ახორციელებენ. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონებში მოქმედი სამშენებლო კომპანიები დაბალი კვალიფიციურობით ხასიათდებიან, რაც ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაბალი ხარისხიანობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია.

4.2.3.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამობა უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ ხელისუფლებაზე, ასევე ადგილობრივ მოსახლეობასა და ბიზნესსექტორზე.

უარყოფითი გავლენა:

- ***თვითმმართველობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი*** - ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოუწესრიგებლობა მნიშვნელოვნად აფერხებს მუნიციპალიტეტით მსხვილი ინვესტორების დაინტერესებას და ზოგადად მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას;
- ***ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი*** - მოუწესრიგებელი და გაუმართავი გზები აფერხებს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში. ამ პირობებში მუნიციპალიტეტი ნაკლებად მიმზიდველი ხდება ტურისტებისათვის. ამასთან, გართულებულია ტურისტული მარშრუტების დაგეგმარება;
- ***სატრანსპორტო საშუალებების მაღალი ცვეთა*** - გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები მოუწესრიგებელია, მასზე მოძრავი სატრანსპორტო საშუალებები განიცდიან მაღალ ცვეთას და ხშირად გამოდიან მწყობრიდან;
- ***მაღალი ფინანსური დანახარჯები გადაადგილებისთვის*** - გამომდინარე იქიდან, რომ მაღალია სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა ეს გარემოება აძვირებს გადაადგილების ღირებულებას;
- ***დროის დანახარჯი*** - გარდა ფინანსური დანახარჯებისა, აღსანიშნავია ასევე დროის დიდი დანახარჯი, რაც მოუწესრიგებელ გზებზე გადაადგილებისას არის საჭირო;
- ***გადაადგილების არაკომფორტული გარემო*** - ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გაუმართაობა არაკომფორტულ გარემოს ქმნის როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ჩასული ტურისტებისათვის;
- ***სამგზავრო გადაზიდვების არათანაბარი ხელმისაწვდომობა*** - გამომდინარე იქიდან, თუ რამდენად დაზიანებულია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, შესაძლებელია მუნიციპალიტეტის გარკვეულ სოფლებს არ გააჩნდეთ სამგზავრო გადაზიდვების ხელმისაწვდომობა.

4.2.4. მუნიციპალური ნარჩენების მართვა

4.2.4.1. ძირითადი პრობლემის აღწერა

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სოფ. ქსნის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავსაყრელი ფართობით 0.5 ჰექტარი (დაურეგისტრირებელი).

საშუალოდ ყოველწლიურად მცხეთის მუნიციპალიტეტში დაგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მთლიანი მოცულობა შეადგენს 32000 კუბურ მეტრს.

მოსახლეობისა და ფიზიკური პირებიდან დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობამ 2009 წელს შეადგინა 60 000 ლარი, ხოლო 2010 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით 98000 ლარი.

მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები ჯერ კიდევ დაურეგულირებელია, საბჭოთა პერიოდის დაშლის შემდეგ არ მომხდარა აღნიშნული სფეროს სისტემური რეაბილიტაცია, ამორტიზებულია ნაგვის გამტანი მანქანები, სერიოზულ პრობლემად რჩება ნაგავსაყრელის კეთილმოწყობისა და ნარჩენების უტილიზაციის საკითხები. ასევე დაურეგულირებელია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები. როგორც ცნობილია, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალური ნარჩენების გატანა და მისი უტილიზაცია წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარ უფლებამოსილებას, რაც გულისხმობს აღნიშნული მომსახურების უზრუნველყოფას ადგილობრივი ფინანსებით. გამომდინარე აქედან, პრობლემატურ საკითხად ასევე რჩება მცხეთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებლის მოქნილი სისტემის შემუშავება.

4.2.4.2. ძირითადი პრობლემის გამომწვევი მიზეზები

მცხეთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების გატანა-უტილიზაციის სფეროში პრობლემების გამომწვევი ძირეული მიზეზები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

1) სტანდარტიზაციის (სტანდარტების) საკითხები;
2) არასაკმარისი ფინანსური რესურსები;
3) მართვის (მენეჯმენტის) პრობლემები.

სტანდარტიზაციის (სტანდარტების) საკითხები;

- ეროვნულ დონეზე დასახვეწია სტანდარტიზაციის სისტემა. საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს ეროვნული სტანდარტი ნარჩენების მართვის სფეროში;
- მუნიციპალურ დონეზე არ არსებობს ინსტრუქციები, ტექნიკური ხასიათის ნორმები, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დაეყრდნოს შესაბამისი სამსახური;
- სტანდარტების გამოყენების ნებაყოფლობითობის პირობებში, შესამუშავებელია ისეთი მექანიზმი, რომლითაც გარანტირებული იქნება შემუშავებული ინსტრუქციების რეალური გამოყენება.

არსაკმარისი ფინანსური რესურსები;

- მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობის სიმწირიდან გამომდინარე არასაკმარისია ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის გამოყოფილი თანხები;
- დასახვეწია ნარჩენების გატანა-უტილიზაციის მოსაკრებლის ადმინისტრირების სისტემა. არ ხდება აღნიშნული სერვისის ღირებულების სისტემური (კომპლექსური) ანალიზი. შესაბამისად გადახედვას საჭიროებს აღნიშნული სფეროს მომსახურებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ შემოღებული ტარიფის ოდენობა.
- არ არსებობს მოსახლეობიდან ტარიფის ამოღების (ადმინისტრირების) ეფექტური სისტემა.

მართვის (მენეჯმენტის) პრობლემები;

- მუნიციპალურ დონეზე მწირია საკადრო-რესურსული პოტენციალი, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს არ გააჩნიათ ინფორმაცია, თუ რა მიდგომები და მართვის მოდელები არსებობს ევროპული ქვეყნების მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სფეროში;
- ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილია ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები;
- ნარჩენების ეფექტურად მართვის სფეროში ასევე მწირია კერძო ოპერატორების გამოცდილება და რესურსული პოტენციალი.

4.2.4.3. ძირითადი პრობლემის უარყოფითი გავლენა გარემოზე

ქვემოთ მოცემულია ის უარყოფითი შედეგები (გავლენა), რომელიც პირდაპირ თუ ირიბად წარმოიშობა ნარჩენების გატანა-უტილიზაციის პრობლემის არსებობისას:

- ხელი ეშლება მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელებას და სისუფთავის დაცვას;
- იზრდება მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების რისკი;
- იზრდება სხვადასხვა სახის ეპიდემიოლოგიური დაავადებების გავრცელების რისკი;
- ხელი ეშლება მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას;
- ფერხდება თვითმმართველობის სოციალურ-ეკონომიკური განვითრება.

4.3. პროგრამის მიზნები, ამოცანები, საქმიანობები

4.3.1. წყალმომარაგება - პრიორიტეტი #1

მიზანი 1. მცხეთის მუნიციპალიტეტში სასმელი და საირიგაციო წყლის მიწოდება შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს

ამოცანა 1.1. ფინანსებთან მიმართებაში დაკავშირებული საკითხები გამოსწორებულია

საქმიანობა:

1.1.1. ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვა საკუთარი შემოსულობების ზრდასთან დაკავშირებით. ამ პროცესში შესაძლებელია ჩართულნი იყვნენ გუბერნატორის აპარატი და თვითმმართველობის ასოციაცია. საკითხის დადებითად გადაჭრას ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ თვითმმართველობის ქარტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

1.1.2. მუნიციპალური განვითარების ფონდიდან კაპიტალური პროექტებისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვა. თვითმმართველობამ უნდა მოამზადოს გამართული პროექტები და მოახდინოს მათი ლობირება ცენტრალურ დონეზე;

1.1.3. საკუთარი შემოსულობების ამოღების მაჩვენებლის ზრდა. პირველ რიგში მოხდება საგადასახადოსთან ურთიერთობის აწყობა რათა საჭირო ინფორმაციის მიღება არ გართულდეს. მეორე მხრივ უნდა გაიზარდოს ადგილობრივი მოსაკრებლების მობილიზების მაჩვენებელი, რაც ადმინისტრირების გაუმჯობესებით იქნება შესაძლებელი;

1.1.4. არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული სახსრების რაციონალური გამოყენება - პრივატიზების პროცესიდან მიღებული თანხის მიმართვა უნდა მოხდეს არაფინანსური აქტივების ზრდის დასაფინანსებლად.

ამოცანა 1.2. მუნიციპალიტეტში შექმნილია მენეჯმენტის მოქნილი და სისტემური მექანიზმები

საქმიანობა:

1.2.1. სოფლად არსებული წყლის სისტემების მდგომარეობის ძირეული კვლევა - პირველ რიგში უნდა მოხდეს სოფლად არსებული წყლის სისტემების (სათავე ნაგებობის ჩათვლით) აღრიცხვა და საკუთრების ფორმის გარკვევა. შემდგომ ეტაპზე უნდა განხორციელდეს დეფექტური აქტების შედგენა და პრობლემის მოგვარების ხედვის ჩამოყალიბება;

1.2.2. მუნიციპალური სერვისების ხარისხის სტანდარტის დადგენა - აუცილებელია განისაზღვროს ტექნიკური სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები;

1.2.3. ზედამხედველობის ფუნქციის დახვეწა წყლის სისტემის რეაბილიტაციის მონიტორინგის კუთხით - შესაბამის სამსახურში უნდა არსებობდეს ადამიანი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის საჭირო სტანდარტების ცოდნა.

ამოცანა 1.3. საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრულია ადგ. თვითმმართველობის კომპეტენცია წყლის სისტემების რეაბილიტაციასთან მიმართებაში.

საქმიანობა:

1.3.1. ადგილობრივი წყლის მცნების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის ლობირება - ადგ. თვითმმართველობამ გუბერნიისა და თვითმმართველობის ასოციაციის მხარდაჭერით უნდა გაუწიოს ლობირება წყლის რესურსის გამიჯვნის საკითხს;

1.3.2 სოფლად წყლის მიმწოდებელის განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე - ადგ. თვითმმართველობამ გუბერნიისა და თვითმმართველობის ასოციაციის მხარდაჭერით უნდა გაუწიოს ლობირება სოფლად წყლის მიმწოდებელი სუბიექტის დადგენას. თუ ეს ფუნქცია თვითმმართველობის პრეროგატივად განისაზღვრება, მაშინ აუცილებელია შესაბამისი დაფინანსების მოთხოვნა.

4.3.2. ერთჯერადი სოციალური დახმარებები - პრიორიტეტი #2

მიზანი 2. მცხეთის მუნიციპალიტეტში ერჯერადი სოციალური დახმარების პროგრამები ეფექტური და გამჭვირვალეა

ამოცანა 2.1. ფინანსებთან მიმართებაში დაკავშირებული საკითხები გამოსწორებულია.

საქმიანობა:

2.1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლები გაზრდილია. ამის მისაღწევად გატარებულია მთელი რიგი ღონისძიებები. მათ შორის: გაზრდილია გამოთანაბრებითი ტრანსფერების მოცულობა და აგრეთვე საკუთარი შემოსავლის ძირითადი წყაროს - ქონების გადასახადის განაკვეთი (რა თქმა უნდა, ოპტიმალური მოცულობით). ყოველივე ამის შედეგად გაზრდილია ერთჯერადი სოციალური დახმარებებით დაკმაყოფილებული მოსახლეობის რაოდენობა;

2.1.2. ერთჯერადი სოციალური პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხები ასახულია მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმაში და ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ბენეფიციართა მნიშვნელოვანი ნაწილის პრობლემები მოგვარებულია;

2.1.3. თვითმართველობის ასოციაციის ლობირებითა და წარმომადგენლობით ორგანოსთან კოორდინირებით გაზრდილია ქონების გადასახადისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთი, რითაც მიღწეულია ერთჯერადი დახმარებების უზრუნველსაყოფად ფორმირებული ფულადი ფონდის მოცულობა;

2.1.4. მუნიციპალიტეტის დონეზე შექმნილია ერთჯერადი სოციალური დახმარებების სისტემურად მდგრადი ფინანსური მექანიზმები.

ამოცანა 2.2. მუნიციპალიტეტში შექმნილია მენეჯმენტის მოქნილი და სისტემური მექანიზმები თუ ინსტიტუციები:

საქმიანობა:

2.2.1. მუნიციპალიტეტში შექმნილია მუნიციპალური სოციალური სააგენტო, რომელიც დაკომპლექტებულია ადგილობრივი სოციალური აგენტებით და შესაბამისად უზრუნველყოფილია ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე პირების ზუსტი ნუსხის არსებობა;

2.2.2. მცხეთის მუნიციპალიტეტში შექმნილია ადგილობრივი სტატისტიკური მონაცემების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ერთჯერადი სოციალური დახმარებების ბენეფიციართა ზუსტ იდენტიფიკაციას.

2.2.3. მუნიციპალურ დონეზე შექმნილია ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ერთჯერადი სოციალური დახმარების საჭიროების მქონე ბენეფიციარებთან მიმართებაში სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების პრევენციას. კერძოდ, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ერთჯერად სოციალურ დახმარებებზე თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით და ეს სხდომები საჯაროა, სადაც ესწრებიან ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები (ადგილობრივი არასამთავრობო, სათემო მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები.)

2.2.4. გამიჯნულია, თუ ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს მცხეთის მუნიციპალური განყოფილება ბენეფიციართა რომელ კატეგორიაზეა ორიენტირებული/პასუხისმგებელი და ადგილობრივი ხელისუფლება რომელზე.

ამოცანა 2.3. გამჭვირვალეა როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტებში ერთჯერად სოციალურ დახმარებებთან მიმართებაში

საქმიანობა:

2.3.1. საკანონმდებლო დონეზე განხორციელებულია ცვლილება და გამიჯნულია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამებზე ბენეფიციართა რომელ კატეგორიაზეა პასუხისმგებელი თითოეული მათგანი;

2.3.2. როგორც სახელმწიფო, ასევე მცხეთის მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმებში ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი ერთჯერადი სოციალური დახმარებების პროგრამებისათვის გასაწევი ხარჯების სავარაუდო მოცულობა. ასევე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდში გამოკვეთილია ერთჯერად სოციალურ დახმარებებზე გასაწევი თანხების სავარაუდო მოცულობა.

4.3.3. ადგილობრივი მნიშვნელობის გზები - პრიორიტეტი #3

მიზანი 3. მცხეთის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზები შეესაბამება თანამედროვედ აღიარებულ სტანდარტებს.

ამოცანა 3.1. ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები გამოსწორებულია.

საქმიანობა:

3.1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტში გაზრდილია საკუთარი შემოსავლები;

3.1.2. გაზრდილია ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობასა და რემონტზე გაწეული ხარჯები.

<u>ამოცანა 3.2.</u> კვალიფიციურ კადრებთან დაკავშირებული საკითხები გამოსწორებულია

საქმიანობა:

3.2.1. განსაზღვრულია კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამის ვაკანტურ თანამდებობებზე ახალი კადრების მისაღებად;

3.2.2. შესაბამის თანამდებობებზე მიღებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები;

3.2.3. გაზრდილია მათი ანაზღაურება მათი მოტივაციის ამაღლებისა და კადრების გადინებისგან თავის არიდების მიზნით.

<u>ამოცანა 3.3.</u> შესაბამისი სტანდარტების არსებობა

საქმიანობა:

3.3.1. ეროვნულ დონეზე შემუშავებულია ზოგადი ხასიათის ის სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები, რომლებიც საჭიროა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და შენახვისათვის;

3.3.2. მუნიციპალიტეტის საპროექტო ორგანიზაციებში დანერგილია თანამედროვე სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტაციები;

3.3.3. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა და შეკეთება სწორედ ამ სტანდარტებზე დაყრდნობით ხორციელდება.

<u>ამოცანა 3.4.</u> მიმწოდებელთა კვალიფიკაციის დონე გაზრდილია

საქმიანობა:

3.4.1. გაზრდილია მიმწოდებელ ორგანიზაციათა კვალიფიკაციის დონე;

3.4.2. გაუმჯობესებულია მიმწოდებელ ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა.

4.3.4. მუნიციპალური ნარჩენების მართვა - პრიორიტეტი #4

მიზანი 4. მცხეთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების გატანა-უტილიზაციის (ადმინისტრირების) პროცესი **შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს** (მოთხოვნებს)

<u>ამოცანა 4.1.</u> მოგვარებულია სტანდარტების (სტანდარტიზაციის) საკითხები

საქმიანობა

4.1.1. ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ ერთობლივი ჯგუფის შექმნა და სტანდარტიზაციის საკითხების საფუძვლიანი კვლევა;

აღნიშნულ აქტივობაში მნიშვნელოვანია სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს როლი, რამდენადაც უნდა განხორციელდეს არსებული საბჭოთა სტანდარტების ძირეული გადახედვა და ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდეს ეროვნული სტანდარტი ნარჩენების

გატანა-უტილიზაციის სფეროში. აღნიშნულ პროცესში ასევე აქტიურად უნდა იყოს ჩართული რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია.

4.1.2. მუნიციპალურ დონეზე მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალური ჯგუფის შექმნა და ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება ნარჩენების გატანა-უტილიზაციის სფეროში;

შემდეგ ეტაპზე მუნიციპალიტეტში შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იქნება დარგის სპეციალისტებით. ჯგუფის მიერ უნდა მოხდეს ნარჩენების მართვის სფეროში არსებული პრობლემატიკის ძირეული კვლევა და შემუშავებულ იქნეს ტექნიკური რეგლამენტები ნარჩენების გატანა-უტილიზაციის სფეროში. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტები შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ დონეზე მიღებულ ჩარჩო სტანდარტთან. მუნიციპალურ დონეზე შემუშავებული ტექნიკური წესები ოპტიმალურად უნდა იყოს შედგენილი მუნიციპალიტეტის ფინანსური და სხვა სახის რესურსების გათვალისწინებით.

4.1.3. ახლადშემუშავებული ტექნიკური რეგლამენტების (ჩარჩო სტანდარტიდან გამომდინარე) რეალურად გამოყენების ეფექტური ინსტრუმენტის შექმნა;

ამ შემთხვევაში ძალზე მნიშვნელოვანია სტანდარტიზაციის ნებაყოფლობითობის საკითხის ანალიზი, დღეის მდგომარეობით საქართველოში სტანდარტების გამოყენება ზოგადად ნებაყოფლობითია, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისმა ორგანოებმა სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე (მაგ: მეტი ფინანსების ხარჯვა და სხვ.) არ ისურვონ ახლადშემუშავებული ინსტრუქციების გამოყენება. გამომდინარე აქედან, საჭიროა შემუშავდეს ქმედითი მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი გახდება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მიერ სტანდარტების (ტექნიკური რეგლამენტების) გამოყენების პერმანენტული მონიტორინგი, რაც შესაბამისი სამართლებრივი აქტით იქნება გამყარებული. (აღნიშნულ პროცესში მუნიციპალიტეტთან ერთად შესაძლებელია ჩაერთოს სამხარეო ადმინისტრაცია, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო).

<u>ამოცანა 4.2.</u> დახვეწილია ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის საჭირო ფინანსური სახსრების ფორმირების მექანიზმები.

საქმიანობა

4.2.1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების გატანა- უტილიზაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ფინანსური ანალიზი;

პირველ ეტაპზე აუცილებელია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული იმ ტექნიკური საშუალებების ფინანსური აღრიცხვა და მათი საბაზრო ღირებულების დადგენა, რის საფუძველზეც გაკეთდება რეალური სამოქმედო გეგმა სფეროს შემდგომი რეაბილიტაციისთვის.

4.2.2. ნარჩენების გატანა-უტილიზაციის სფეროში დაფინანსების გაზრდის მექანიზმების შემუშავება;

რამდენადაც მუნიციპალური ბიუჯეტი უმეტესწილად სრულყოფილად ვერ უმკლავდება ნარჩენების სისტემურად გატანა-უტილიზაციას, შესაძლებელია დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფასთან დაკავშირებით აქტიური მოლაპარაკებები წარიმართოს ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან (მუნიციპალური განვითრების ფონდთან და სხვა), რომელშიც ჩართული იქნება როგორც პრეზიდენტის რწმუნებულის ადმიანისტრაცია, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია.

4.2.3. დამატებითი ფინანსური სახსრების მობილიზების მიზნით საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების წარმოება;

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი იძლევა საშუალებას, რომ საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა გაიღონ ფინანსური სახსრები მცხეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის, თუმცა ყოველივე ამისთვის საჭიროა მომზადდეს სისტემურად გაანალიზებული პროექტები (წინადადებები) და წარედგინოს საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს. პროექტის მთავარი მიზანი იქნება მცხეთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების გატანა-უტილიზაციის პრობლემის მოგვარება, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტურიზმის და საბოლოო ანგარიშით მუნიციპალიტეტის მდგრად განვითრებას.

4.2.4. ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის მუნიციპალიტეტის მიერ შემოღებული მოსაკრებლის (ტარიფის) ანალიზი და ადმინისტრირების მოქნილი სისტემის შემუშავება;

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოს მუნიციპალიტეტებში (მათ შორის მცხეთაში) არ არსებობს ნარჩენების გატანა-უტილიზაციის მოსაკრებლის დათვლის (დაანგარიშების) თანამედროვე მეთოდოლოგია. შესაბამისად მუნიციპალიტეტში დაწესებული ტარიფი ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის რეალურად საჭირო ფინანსურ სახსრებს. ამდენად აუცილებელია შემუშავდეს ტარიფის დათვლის ისეთი მეთოდოლოგია, რომელშიც რეალურად იქნება გათვალისწინებული მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსი.

გარდა სატარიფო პოლიტიკისა, პრობლემატურ საკითხად რჩება მოსახლეობიდან მოსაკრებლის ადმინისტრირების ეფექტური მექანიზმის შემუშავება. ამისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავდეს გეგმა, რომელიც სხვადასხვა სტიმულებიდან (მაგ.: მომსახურების ხარისხი და სხვ.) გამომდინარე გაზრდის მოსახლეობიდან მოსაკრებლის მობილიზების (ამოღების) მაჩვენებელს.

ამოცანა 4.3. შემუშავებულია ნარჩენების გატანა-უტილიზაციის მართვის (მენეჯმენტის) ეფექტური სისტემა;

საქმიანობა

4.3.1 ადამიანური რესურსების გაძლიერება ნარჩენების მართვის სფეროში

აღსანიშნავია, რომ ფინანსური რესურსების სიმწირესთან ერთად მუნიციპალიტეტში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ნარჩენების მართვის სფეროში პროფესიონალი კადრების საკითხი, შესაბამის სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს არ აქვთ ინფორმაცია განვითარებული (ევროპული) ქვეყნების მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის მდგომარეობის (დაგეგმარების) შესახებ, შესაბამისად არასრულყოფილია ნარჩენების მართვის სფეროში არსებული მუნიციპალური გეგმები, ხედვები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამომდინარე აქედან, საჭიროა გამოცდილი ექსპერტების მიერ შემუშავდეს სპეციალური ,,ტრენინგ-მოდული“ და ნარჩენების მართვის შესახებ სრულყოფილად მიეწოდოთ ინფორმაცია იმ ადამიანებს, რომლებსაც შემდგომში პირდაპირი შეხება ექნებათ ნარჩენების მართვის საკითხებთან.

4.3.2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ანალიზი;

აღნიშნულ ეტაპზე მოხდება ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის საჭირო საშუალებების ტექნიკური მდგომარეობის აღწერა (არსებული სურათის შესწავლა), რომლის შემდეგ გაანალიზდება თუ რა ტექნიკური პოტენციალი აქვს მუნიციპალიტეტს სფეროს შემდგომი განვითრებისთვის.

4.3.3. ნარჩენების -გატანა უტილიზაციის სფეროში მოქმედი კერძო ოპერატორების კვლევა;

აღნიშნული აქტივობა გულისხმობს მუნიციპალიტეტში და რეგიონულ დონეზე არსებული იმ კერძო კომპანიების ანალიზს, რომლებსაც აქვთ რესურსი შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე პასუხისმგებლობა აიღონ ნარჩენების გატანა-უტილიზაციაზე. ამავე დროს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ უნდა მოხდეს კერძო-საჯარო პარტნიორობის ფორმების ანალიზი და აღნიშნული ალტერნატივებისგან მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა.

4.4. პროგრამის განხორციელების სავარაუდო გეგმა და რესურსები

#	აქტივობა/საქმიანობა	2011				2012				2013				საჭირო რესურსები	პასუხისმგებელი უწყება
		I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV		
1.	**სასმელი და სარწყავი წყლის მიწოდების გაუმჯობესება**													თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
1.1.	ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვა საკუთარი შემოსულობების ზრდასთან დაკავშირებით													პრეზიდენტის (მთავრობის) სამხარეო რწმუნებულის აპარატი	მუნიციპალიტეტის გამგეობა
1.2	მუნიციპალური განვითარების ფონდიდან კაპიტალური პროექტებისათვის დამატებითი სახსრების მოზიდვა													სამუშაო ჯგუფი (სამსახური)	მუნიციპალიტეტის გამგეობა
1.3	საკუთარი შემოსულობების ამოღების მაჩვენებლის ზრდა													არაფინანსური აქტივების მართვის გეგმა	მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური
1.4	არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული სახსრების რაციონალური გამოყენება													სამუშაო ჯგუფი და ექსპერტების დაფინანსება	მუნიციპალიტეტის გამგეობა
1.5	სოფლად არსებული წყლის სიტემების მდგომარეობის ძირეული კვლევა													CIESR-ს შემუშავებული სტანდარტების გადახედვა და მიღება	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
1.6	მუნიციპალური სერვისების ხარისხის სტანდარტის დადგენა													სამუშაო ჯგუფი	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
1.7	ზედამხედველობის ფუნქციის დახვეწა წყლის სიტემის რეაბილიტაციის მონიტორინგის კუთხით													თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
1.8	ადგილობრივი წყლის მცნების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის ლობირება													თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო

1.9	სოფლად წყლის მიმწოდებელის განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე													პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტი, დამატებითი ფინანსები	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
1.10	წყლის მიწოდების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება													თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
2.	**სოციალური დახმარების პროგრამების ეფექტურობა და გამჭვირვალობა**														
2.1	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების გაზრდა													პრეზიდენტის (მთავრობის) სამხარეო რწმუნებულის აპარატი	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
2.2	ერთჯერადი სოციალური პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხების ასახვა მუნიციპალური ბიუჯეტის გეგმაში													პროგრამული ბიუჯეტი	საფინანსო სამსახური; ჯანდაცვის, სოც. საკითხ–თა, ვეტერანთა საქმეების, ლტოლვილთა და იძუ–ლებით გადაადგილე–ბულ პირთა სამსახური
2.3	ადგილობრი ქონების გადასახადისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთის გაზრდა													სამუშაო ჯგუფი	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
2.4	ერთჯერადი სოციალური დახმარებების სისტემურად მდგრადი ფინანსური მექანიზმების შექმნა													სამუშაო ჯგუფი	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
2.5	ადგილობრივი სტატისტიკური მონაცემების სამსახურის შექმნა													ადგილობრივი სამსახური	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
2.6	ერთჯერად სოციალურ დახმარებებზე თანხების გამოყოფასთან შექმნილი კომისიის სხდომების გამჭვირვალობა													ადგილობრივი და ცენტრალური მედია	მუნიციპალიტეტის აპარატი
2.7	საკანონმდებლო დონეზე ცვლილების განხორციელება და უფლებამოსი–ლებების გამიჯვნა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის													თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
3.	**ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მდგომარეობის მოწესრიგება**														
3.1	ადგილობრივი გზების მშენებლობაზე													პროგრამული და	მუნიციპალიტეტის

	და რემონტზე ხარჯების ზრდა													კაპიტალური ბიუჯეტი	გამგეობა და საკრებულო
3.2	საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშა-ვება ახალი კადრების მისაღებად													ადგილობრივი კადრები და მოწვეული ექსპერტები	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
3.3	კვალიფიციური პერსონალის შერჩევა													მოწვეული ექსპერ-ტების ანაზღაურება	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
3.4	პერსონალის შრომის ანაზღაურების მოწესრიგება და მოტივაციის გაზრდა													პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტი	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
3.5	სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება													CIESR-ს შემუშავებული სტანდარტების გადახედვა და მიღება	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
3.6	საპროექტო ორგანიზაციებში სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტების დანერგვა													ტრენინგების მასალები და ტრენერთა შრომის ანაზღაურება	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
3.7	მიმწოდებელ ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის გაუმჯობესება													სატენდერო მოთხოვ-ნები და დამატებითი ფინანსური რესურსები	მიმწოდებელი ორგანი-ზაცია მუნიციპალიტეტის მოთხოვნით
3.8	ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა და შეკეთება ახალი სტანდარტებით და რეგლამენტებით													პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტი, დამატებითი ფინანსები	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
3.9	შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი და შეფასება													მონიტორინგის შერეუ-ლი ჯგუფის შექმნა	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
4.	**ნარჩენების გატანა-უტილიზაციის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან**														
4.1	მუნიციპალურ დონეზე სპეციალური ჯგუფის შექმნა და ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება													CIESR-ს შემუშავებული სტანდარტების გადახედვა და მიღება	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო

4.2	ახლადშემუშავებული ტექნიკური რეგლამენტების რეალურად გამოყენების ეფექტური ინსტრუმენტის შექმნა													სამუშაო ჯგუფი და ექსპერტების დაფინანსება	მუნიციპალიტეტის გამგეობა
4.3	მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის საჭირო ინფრა–სტრუქტურის და ბაზრის ანალიზი													სატენდერო მოთხოვნები და დამატებითი ფინანსური რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
4.4	ნარჩენების გატანა-უტილიზაციის სფეროში დაფინანსების გაზრდის მექანიზმების შემუშავება													სამუშაო ჯგუფი	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
4.5	დამატებითი ფინანსური სახსრების მობილიზების მიზნით საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების წარმოება													თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის რესურსები	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
4.6	ნარჩენების გატანა-უტილიზაციისთვის შემოღებული მოსაკრებლის ანალიზი და ადმინისტრირების მოქნილი სისტემის შემუშავება													სამუშაო ჯგუფი და ექსპერტების დაფინანსება	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
4.7	ადამიანური რესურსების გაძლიერება													ტრენინგების მასალები და ტრენერთა შრომის ანაზღაურება	მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო
4.8	შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად ნარჩენების გატანა–უტილიზაცია													პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტი, დამატებითი ფინანსები	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური